ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

# 2018 წლის სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის

# ა ნ გ ა რ ი შ ი

ბათუმი

2018

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის**
**2018 წლის სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ანგარიში**

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება) დასახელება–
***ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი***

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი–***როინ მალაყმაძე,*** ისტორიის დოქტორი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –27

როინ მალაყმაძე (ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი)

**ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება:** ***ბიჭიკო დიასამიძე*** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი), ***ოთარ თურმანიძე*** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი), ***ნინო ინაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი, უჩა ოქროპირიძე*** (მთავარი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის დოქტორები), ***მაია ჭიჭილეიშვილი, ირინე ვარშალომიძე, ოლეგ ჯიბაშვილი*** (უფროსი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის დოქტორები), ***მერაბ მეგრელიშვილი*** (მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი), ***სულხან მამულაძე*** (დოქტორანტი).

**ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება**: ***ნოდარ კახიძე*** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი), ***ჯემალ ვარშალომიძე*** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი) ***ნაილა ჩელებაძე, თამილა ლომთათიძე, რუსლან ბარამიძე*** (უფროსი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის დოქტორები), ***ნუგზარ ჩხაიძე*** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოსოფიის დოქტორი), ***კონსტანტინე ღლონტი, ჯემალ მიქელაძე*** (მეცნიერ თანამშრომლები).

**ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება**: ***შუშანა ფუტკარაძე*** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, განყოფილების უფროსი), ***ელზა ფუტკარაძე*** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი), ***შოთა ზოიძე*** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი), ***ნანი გუგუნავა*** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი), ***ნაილე მიქელაძე*** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი), ***ნანული ნოღაიდელი, ციალა ნარაკიძე*** (მეცნიერი თანამშრომლები), ***ომარ მემიშიში*** (ფილოლოგიის დოქტორი).

## 1. პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

<table>
<tr><th>№</th><th>გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით</th><th>პროექტის დაწყების და დამთავრების წლები</th><th>პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)</th></tr>
<tr><td colspan="4">ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება</td></tr>
<tr><td>1</td><td>I თემა :<br>ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV ს. - XX ს-ის 90-იან წწ.<br><br>მეცნიერების დარგი:<br>ქართველოლოგია (ისტორია, არქეოლოგია)<br><br>სამეცნიერო პრობლემა:<br>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემები</td><td>2018-2022</td><td>ბიჭიკო დიასამიძე (პროექტის ხელმძ.-ლი)<br>ოლეგ ჯიბაშვილი (შემსრულებელი)<br>ოთარ თურმანიძე (შემსრულებელი)<br>უჩა ოქროპირიძე (შემსრულებელი)</td></tr>
<tr><td></td><td>I ქვეთემა:<br>ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა გვიანი შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XV-XIX საუკუნის 70-იანი წლები)</td><td>2018-2022</td><td>ბიჭიკო დიასამიძე (შემსრულებელი)</td></tr>
<tr><td colspan="4">ეტაპი I (2018 წელი): საქართველოს სამეფო-სამთავროთა ღონისძიებანი დამპყრობელთაგან ქვეყნის გადასარჩენად XVსაუკუნესა და XVI საუკუნის პირველ ნახევარში<br><br>ანოტაცია<br>თანამედროვე პირობებში, როცა ქვეყნის ტერიტორიის ერთი მეხუთედი დამპყრობელს აქვს მიტაცებული, აქტუალურია ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოცდილების ერთხელ კიდევ გააზრება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.<br>საქართველო თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობით, ყოველთვის იმსახურებდა მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა ყურადღებას, ამიტომ მას მათთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება დაუგროვდა. წარმოდგენილი გარდამავალი წლიური ნაშრომი მე15-16 საუკუნის პირველი ნახევრის მოვლენებს ასახავს და მასში გაანალიზებულია საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის მოშლისა და საგარეო საფრთხის ზრდის გამომწვევი მიზეზები მე-15 საუკუნეში, წარმოჩენილია ქართველ ხელისუფალთა ღონისძიებანი ოსმალთა აგრესიის შესაჩერებლად, ნაჩვენებია ევროპელებთან ერთად კოალიციაში მონაწილეობის ცდის მოტივები და სამეფო-სამთავროთა სამხედრო შესაძლებლობები, ოსმალთა აგრესიის დაწყება მე-16 საუკუნის დასაწყისში და ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლები. ნაშრომში გამოყენებულია საკითხთან დაკავშირებული ქართული წერილობითი წყაროები, კათოლიკე მისიონერთა ცნობები და მასალები, გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები.</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| | II ქვეთემა: ეროვნულ-განმათავისუფლებე-ლი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყა-რებამდე | 2018-2022 | ოლეგ ჯიბაშვილი (შემსრულებელი) |

ეტაპი I (2018 წელი): **ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1870-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დასაწყისში და მისი თავისებურებანი**

ანოტაცია

ბალკანეთის ნახევარკუნძულის მართლმადიდებელი ქრისტიანი მოსახლეობის დაცვის საბაბით რუსეთის იმპერიამ 1877 წლის 12 აპრილს ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საომარი მოქმედებები ორ ფრონტზე გაიშალა: ბალკანეთსა და კავკასიაში. ქართველი ერი, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ამ ომს დიდი სამომავლო იმედებით შეხვდა. გამოიკვეთა ე.წ. „ოსმალოს საქართველოს" განთავისუფლებისა და რუსეთის ფარგლებში ქართული მიწების გაერთიანების პერსპექტივა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი, ოსმალეთის მსგავსად, საქართველოსთან მიმართებაში ყოველთვის თავისი იმპერიული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, ობიექტური ვითარებიდან გამომდინარე, იმ დროისათვის ეს მაინც უფრო უკეთესი ალტერნატივა იყო და ქართული საზოგადოება ამას მშვენივრად აცნობიერებდა. სწორედ ამის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში 30-ათასზე მეტი ქართველი იღებდა მონაწილეობას.

ნაშრომში საისტორიო წყაროებსა (მათ შორის რუსულ და ინგლისურ) და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით განხილულია არტაან-ართვინისა და ქობულეთ-ბათუმის მიმართულებით მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები, ადგილობრივი მოსახლეობის როლი და ადგილი მათში, აგრეთვე, თურქული მხარის მიერ ბათუმის გადაცემა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის.

ყველაფრიდან ჩანს, რომ აღნიშნულ ომში რუსეთის სარდლობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ბათუმის დაკავება იყო. საბრძოლო წარმატება და ბათუმისკენ შეუფერხებელი სვლა დიდად იყო დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის განწყობაზე, მათ მიერ დაკავებულ პოზიციაზე. როგორც რუსული წყაროების მიხედვით ირკვევა, ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანები თავიდან უმეტესად მტრულად იყვნენ განწყობილი რუსების მიმართ, რასაც, გარკვეულწილად, განაპირობებდა ზოგიერთი გავლენიანი ბეგის პროთურქული ორიენტაცია. ამას დავუმატოთ ოსმალეთის მოქმედი ხელისუფლების ძალისხმევა და ქართველ მაჰმადიანთა ბუნებრივი სიფრთხილე, შიში და უნდობლობა ჯერ კიდევ უცხო და გაურკვეველი ზრახვებით მოსული რუსული ძალის მიმართ და მათი ქცევის მოტივაცია გასაგები იქნება. თუმცა წყაროებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ისინი დიდად არ იკლავდნენ თავს ოსმალთა ერთგულებით და ორ უზარმაზარ ძალას შორის მოქცეულები, მხოლოდ იძულებით ლავირებას მიმართავდნენ თვითგადარჩენის ინსტიქტის კარნახით. როგორც კი ოსმალეთის ზეგავლენა შესუსტდა, პატრიოტულად განწყობილი და საღად მოაზროვნე გავლენიანი პირების მეთაურობით ადგილობრივი ძალები აქტიურად დაუპირისპირდა ოსმალებს, რასაც თავისებურ სტიმულს აძლევდა იმ პოლიტიკურ სივრცეში შესვლის პერსპექტივა, სადაც დანარჩენი საქართველო იყო მოქცეული.

ოსმალეთი დამარცხდა და იძულებული გახდა რუსეთისათვის ზავი შეეთავაზებინა. 1878 წ. 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს ზავით რუსეთმა ოსმალეთისაგან სერიოზული პოლიტიკური და ტერიტორიული დათმობები მიიღო, მათ შორის, ბათუმიც.

რუსეთის წარმატებებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, ისინი საქმეში ჩაერივნენ და სცადეს მისი გამარჯვების გაქარწყლება. ყველაზე მეტად ინგლისი აქტიურობდა. იგი შეეცადა ბათუმის სანჯაყში ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული აჯანყების პროვოცირებაც მოეხდინა, რასაც ადასტურებს ინგლისური და რუსული წყაროები. როგორც ინგლისური დოკუმენტებიდან ირკვევა, მოსახლეობა ლაზისტანის სანჯაყისა, რომლის ცენტრი იყო ბათუმი და რომელშიც შედიოდა აჭარა, ქობულეთი, მაჭახელი, ლივანა და საკუთრივ ლაზეთი, პროტესტს გამოთქვამდა ბათუმის რუსეთისათვის გადაცემასთან დაკავშირებით და მოითხოვდა ბრიტანეთის მფარველობაში შესვლას. მოსახლეობის სახელით გამოდიოდნენ და ინგლისელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ე.წ. ლაზი დელეგატები, რომლებიც, როგორც დოკუმენტების კონტექსტიდან ჩანს, ადგილობრივი არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ. ადვილი შესაძლებელია, როგორც ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ისინი არ გამოხატავდნენ ლაზისტანის სანჯაყის მთელი მოსახლეობის თვალსაზრისს, რომლებსაც, სხვათა შორის, ყველას ლაზების სახელით

მოიხსენიებს ინგლისური მხარე, სავარაუდოდ, მათ უკან ამ მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი იდგა.

საინტერესოა, რომ ანტირუსულ მოძრაობაში ჩართულ ქართველ მაჰმადიანთა გვერდით ფიგურირებენ ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრები კათოლიკე სომხებიც, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართული წარმოშობისა იყო. ნაშრომში გამოთქმულია არგუმენტირებული მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ინგლისის მხარდაჭერით წაქეზებული ოსმალეთი ახალი ომისათვის სამზადისს შეუდგა. ასეთ ვითარებაში რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ბერლინის კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას.

ბერლინის კონგრესზე (1878 წ.-ის 1 (13) ივნისი – 1 (13) ივლისი) რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შენარჩუნება. ინგლისის თანხმობით და ბერლინის ტრაქტატის ძალით, მასვე დარჩა ბათუმიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პეტერბურგში ბოლო მომენტამდე არ სჯეროდათ ოსმალთაგან ბათუმის დათმობის შესაძლებლობისა. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ბათუმის რუსეთის ფარგლებში დარჩენა როტშილდების გავლენიანი გვარის ჩარევამ განაპირობა. მათ ბათუმთან დაკავშირებით თავისი ეკონომიკური ინტერესები გააჩნდათ.

ბათუმში რუსეთის საჯარისო ნაწილები სამი მხრიდან შევიდნენ. ხშირ შემთხვევაში მათ ადგილობრივი ქართული მოსახლეობის წარმომადგენლები მოუძღოდნენ. ბათუმის თურქულმა ხელისუფლებამ ქალაქი საზეიმო ვითარებაში გადასცა რუსეთის წარმომადგენლობას.

თურქთაგან გათავისუფლებულ „ოსმალოს საქართველოს“ მუსლიმ ქართველობას ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გულწრფელი სიხარულით შეეგებნენ „რუსეთის საქართველოს“ ქრისტიანი ქართველები და ერთობლივი ძალისხმევით სცადეს ერთიანი ეროვნული სხეულისა და სულის აღდგენა.

| | | | |
|---|---|---|---|
| | III ქვეთემა: ეროვნულ-განმათავისუფლე-ბელი მოძრაობა და მასობრივი რეპრესიები აჭარაში XX საუკუ-ნის 20-40-იან წლებში | 2018-2022 | ოთარ თურმანიძე (შემსრულებელი) |

ეტაპი I (2018 წელი): **აჭარის გასაბჭოება და ეროვნული მოძრაობა XX საუკუნის 20-იანი წლების პირველ ნახევარში**

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად აჭარაში განვითარებული მოვლენები: საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა, პოლიტიკური ძალების ბრძოლა ძალაუფლებისათვის. დახასიათებულია საბჭოთა ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური პოლიტიკის თავისებურებანი აჭარაში. ნაშრომის ეს ნაწილი წარმოადგენს საერთო ფონს თემის ძირითადი საკითხების მეცნიერული შესწავლისათვის.

პირველ წყაროებზე დაყრდნობით გაშუქებულია ანტისაბჭოთა მოძრაობა 1921-1924 წლებში. ამ გამოსვლებიდან აღსანიშნავია ქედის მაზრის 1921 წლის სექტემბრის აჯანყება, რომელშიც საზოგადოების ყველა ფენა მონაწილეობდა. ნაშრომში შეფასებულია ქედის მაზრის 1921 წლის სექტემბრის აჯანყების ხასიათი, მასშტაბი და მიმდინარეობა.

ნაშრომში დაწვრილებითაა შესწავლილი 1024 წლის აჯანყება აჭარაში. ნაჩვენებია ამ აჯანყების ხასიათი, თავისებურებანი, მასშტაბი, მსვლელობა. საისტორიო მეცნიერებაში პირველად შუქდება აჭარლების მონაწილეობა 1924 წლის აჯანყებაში. ასევე დახასიათებულია საბჭოთა ორგანოების მიერ განხორციელებული სადამსჯელო ღონისძიებები აჯანყების მონაწილეთა, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელთა მიმართ. დასკვნაში შეჯამებულია კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები.

| | | | |
|---|---|---|---|
| | IV ქვეთემა: ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ სქართველოში (აჭარა) 1950-დან 1990-იანი წლების პირ- | 2018-2022 | უჩა ოქროპირიძე (შემსრულებელი) |

<table>
<tr><td></td><td>ველ ნახევარში (ქართველოლოგ-იური მეცნიერებები - სამხრეთ-დასვლეთ საქართველოს ისტო-რიის საკითხები)</td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="4">ეტაპი I (2018 წელი): სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დეპორტაცია XX საუკუნის 40-იან წლებში და რეპატრიაციის პრობლემები<br><br>ანოტაცია<br>ნაშრომში განხილულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მესხეთის და ნაწილობრივ აჭარის მოსახლეობის დეპორტაციის წანამძღვრები, ამ რეგიონისადმი დამოკიდებულება მისი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლისა და განსაკუთრებით საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, რამაც მესხეთის მოსახლეობა 1944 წლის ნოემბრის ტრაგედიამდე მიიყვანა. 1951 წლის ცივ დეკემბერში გაასახლეს ზემო მთიანი აჭარის მოსახლეობის ნაწილიც; ორივე შემთხვევაში მოსახლეობის ამ სასტიკი დასჯის მიზეზად თურქეთის სასაზღვრო ზოლთან ცხოვრების და მაჰმადიანობის გამო მათდამი უნდობლობა გამოცხადდა. აქვე მოცემულია სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირში შექმნილი ვითარებისა და სტალინის კულტთან დაკავშირებული გარემოებების გამო საქართველოში შექმნილი მდგომარეობის, 1956 წლის მარტის თბილისის ამბების ზეგავლენით საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მომხდარი მანიფესტაცია-გამოსვლების მოკლე ისტორიები. ე. წ. დათბობის პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოში რეპრესიული მანქანის მიერ გასახლებული უდანაშაულო ხალხის სამშობლოში დაბრუნების პროცესი დაიწყო, მაგრამ იგი არ შეეხო მხოლოდ საქართველოდან გასახლებულ მესხებს, რომელთა ბრძოლა მშობლიურ მხარეში დასაბრუნებლად დღემდე გრძელდება. ნაშრომში სათანადო ახალი საარქივო და დოკუმენტური მასალების საფუძველზე წარმოჩენილი და გაანალიზებულია ამ ბრძოლის სხვადასხვა ეტაპი, რომელთა დროსაც ისინი მესხებიდან „თურქ-მესხებად“ იქცნენ; ხოლო საბჭოთა სახელმწიფო მანქანამ, მისი ინტერესების განმხორციელებელმა მოძალადე სისტემამ, მაჰმადიანი მესხები, სცადა ქართველი ხალხის უბოროტეს მტრად ექცია. მოცემულია ამ საკითხზე ცნობილი ქართველი მეცნიერებისა თუ საზოგადო მოღვაწეების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიცისტური წერილების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა და მისდამი ქართული სახელმწიფოს დამოკიდებულება.</td></tr>
<tr><td>2</td><td>II თემა:<br>ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ–არქეოლოგიური გამოკვლევა)<br><br>მეცნიერების დარგი:<br>ქართველოლოგია (ისტორია, არქეოლოგია)<br><br>სამეცნიერო პრობლემა:<br>სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-ლოს ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემები</td><td>2018-2022</td><td>გიორგი თავამაიშვილი (პროექტის ხელმძ.-ლი)<br>ნინო ინაიშვილი (შემსრულებელი)<br>მაია ჭიჭილეიშვილი (შემსრულებელი)<br>ირინე ვარშალომიძე (შემსრულებელი)</td></tr>
<tr><td></td><td>I ქვეთემა:<br>ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლის ისტორიული ტოპოგრაფია<br>(არქეოლოგიური ძეგლების გავრცელების რუკა, გეოგრა-ფიულ–გეოლოგიური, ნიადაგის,</td><td>2018</td><td>გიორგი თავამაიშვილი (შემსრულებელი)</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td>სანაპიროს გეომორფოლოგიური და სხვ. დახასიათება)</td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br><br>პროექტის მიზანია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ამ უმნიშვნელოვანესი კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლის მულტიდისციპლინარული ისტორიულ–არქეოლოგიური კვლევის განხორციელება და გამოსაცემად მომზადება. უპირველეს ყოვლისა, აქცენტი გაკეთდება ზღვისპირეთის ამ მონაკვეთის ფორმირების გეომორფოლოგიურ მახასიათებლებზე, ამ ფაქტორის გავლენაზე სამეურნეო საქმიანობის პრიორიტეტების (დიუნური სადგომები, ნამოსახლარები) ჩამოყალიბებასა თუ საფორტიფიკაციო პარამეტრების მოთხოვნებთან ბუნებრივ შესაბამისობაზე. სიახლე იქნება ციხისძირის კომპლექსური ძეგლის ტოპოარქეოლოგიური რუკის შედგენა. ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვა ციხისძირის წინაანტიკური ხანის ნამოსახლარის არქეოლოგიური მონაპოვარი და ციხისძირის სამაროვანი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პეტრა-ციხისძირის ციხის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომავალი წლიდან იგეგმება სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული სამუშაოები (რაც ციხის ტურისტული მომხიბვლელობის გაზრდის მიზნითაა განპირობებული), ჩვენი პროექტის განხორციელება როგორც გაუთვალისწინებელი რისკების პრევენციასაც „მოემსახურება“, ამავე დროს, დასრულებული სახით, უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.</td></tr>
<tr><td></td><td>II ქვეთემა:<br>ციხისძირის შესახებ წერილობითი წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა, ისტორიული და არქეოლოგიური კვლევის ისტორია</td><td>2018</td><td>ნინო ინაიშვილი (შემსრულებელი)</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br><br>პეტრას, როგორც ლაზიკის ცნობილი ციხე-ქალაქისა და საეპისკოპოსო კათედრის შესახებ ძირითადი წერილობითი მონაცემები შემორჩენილია VI-IX სს ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში (იუსტინიანეს ნოველები, პროკოპი კესარიელის თხზულებები, კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო კათედრათა ნუსხები). ამ წყაროების მიხედვით, ეგრისის სამხრეთ საზღვარზე, ზღვის პირას აღმართულ მთაზე, უმნიშვნელო დაბის ადგილას, იმპერატორ იუსტინიანეს (527–565 წწ.) ბრძანებით, გაშენდა ქალაქი, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ბიზანტია-ირანს შორის წარმოებული ომის დროს. ციხე-ქალაქის სტრატეგიული მნიშვნელობა ხაზგასმულია პროკოპი კესარიელის აღწერილობაში: „ქალაქი პეტრა მიუვალია, ჯერ ერთი, ზღვის მხრით, მერე ციცაბო კლდეებით, რომელიც იქ ყოველის მხრით არის აღმართული: აქედან არის, რომ მას ეს სახელწოდება ხვდა წილად.“ უფრო მოგვიანო ბიზანტიურ წყაროებში (VI-IX სს) ეს სიმაგრე უკვე იხსენიება არა როგორც ლაზიკის ციხე-ქალაქი, არამედ როგორც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი ლაზიკის სამეფოს ერთ-ერთი ეპარქიის ცენტრი. ქალაქი „პეტრონი“ მოხსენიებულია მსოფლიო საეკლესიო კრების (553 წ.) კანონთა ძველ ქართულ თარგმანში. ნაშრომში კრიტიკულადაა შესწავლილია სხვადასხვა წერილობითი წყაროს მონაცემები, განხილულია თუ რამდენად თანხვედრაშია ისინი ციხისძირის გეოგრაფიულ მონაცემებთან თუ არქეოლოგიურ აღმოჩენებთან და რამდენად შეესაბამება საერთო ისტორიულ კონტექსტს.<br>მკვლევართა უმრავლესობა ბიზანტიური წყაროებით ცნობილი ციხე-ქალაქ პეტრას ლოკალიზაციას ციხისძირში ახდენს, თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც ამ საკითხთან მიმართებაში. ნაშრომში განხილულია ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული პეტრას ლოკალიზაციისა და პეტრა-ციხისძირის იდენტიფიკაციის პრობლემები (კერძოდ, პეტრას ნავსადგურის საკითხი, ტოპოგრაფიული მონაცემები, პეტრა-ხოფას იდენტიფიკაციის საკითხი და სხვ.).<br>ნაშრომში დეტალურადაა განხილული ციხისძირის მთაზე და მის მიდამოებში შემთხვევითი აღმოჩენების, ლიტერატურული წყაროებით ცნობილი აღმოჩენებისა და არქეოლოგიური კვლევა ძიების ისტორია და მისი შედეგები (სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით).</td></tr>
<tr><td></td><td>III ქვეთემა:<br>შიდაციხის ბაზილიკა</td><td>2018</td><td>მაია ჭიჭილეიშვილი (შემსრულებელი)</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაშრომში განხილულია პეტრა-ციხისძირის ბაზილიკის არქიტექტურული თავისებურებანი და მისი მიმართება ადრეული შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურასთან. მის თავისებურებას განსაზღვრავს შვერილი ხუთწახნაგოვანი აფსიდი, სამნაწილიანი ნარტექსი, ნავების გამყოფი სწორკუთხა ბურჯები. ციხისძირის ბაზილიკა ე.წ. „ელინისტურ" ბაზილიკებს უკავშირდება და ავლენს დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების სახასიათო ნიშნებს. | | | |
| | IV ქვეთემა:<br>**ციხისძირის ნუმიზმატიკური მასალა – ანტიკური ხანის მონეტები ციხისძირიდან** | 2018 | ირინე ვარშალომიძე (შემსრულებელი) |
| ანოტაცია<br><br>წლიურ ნაშრომში განხილულია ციხისძირის არქეოლოგიური შესწავლისას თუ შემთხვევით მოპოვებული ანტიკური ხანის ნუმიზმატიკური ძეგლები. მოცემულია მონეტების აღწერილობა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ( ძვ.წ.IV-ახ.წ.IV), ზომა-წონის პარამეტრები, ემისიის ცენტრები. დამუშავებულია სათანადო ლიტერატურა ციხისძირის შესახებ. გამოკვლეულია მონეტების ციხისძირში გამოვლენის მიზეზები და გზები, განხილულია სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები უცხო ქვეყნებთან. განხილულია ანტიკური ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფულადი მიმოქცევის ხასიათი, თავისებურებები. ნაშრომში პირველადაა აღწერილი ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული ციხისძირში შემთხვევით აღმოჩენილი მონეტები, რომლებიც ამ დრომდე საზოგადოებისთვის უცნობი იყო. | | | |
| **ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება** | | | |
| **3** | **III თემა:**<br>ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასა-ლების (საექსპედიციო დღიურე-ბი) თემატური დამუშავება, გა-მოსაცემად მომზადება და გამო-ცემა.<br><br>**მეცნიერების დარგი:**<br>ქართველოლოგია (ეთნოლოგია)<br><br>**სამეცნიერო მიმართულება –**<br>სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-ლოს ეთნოკულტურული, ფოლ-კლორულ-დიალექტოლოგიუ-რი, დემოგრაფიული და სოციო-ლოგიური შესწავლა | 2018–2022 | ნოდარ კახიძე – პროექტის ხელმძღვანელი;<br><br>თამილა ლომთათიძე – პროექტის პასუხისმგებელი მდივანი;<br><br>შემსრულებლები:<br>როინ მალაყმაძე,<br>ნაილა ჩელებაძე,<br>ჯემალ ვარშალომიძე,<br>რუსლან ბარამიძე<br>ჯემალ მიქელაძე – ფოტო-ილუსტრაციები |

<table>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br><br>ხუთწლიანი გარდამავალი პროექტის 2018 წლის გეგმით თემატურად დამუშავდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ის ეთნოგრაფიული მასალები (საექსპედიციო დღიურების სახით), რომლებიც შეკრებილია 1958–1990–იან წლებში. 2018 წლის გეგმით დამუშავდა მხოლოდ აჭარის მემინდვრეობაზე არსებული მასალები (აჭარის ყოფისა და კულტურის ამსახველი სხვა მონაცემები მომდევნო წლებში დამუშავდება.<br>2018 წლის გეგმით შესრულებულ ნაშრომში ასახულია სიმინდის კულტურამდელი მარცვლეული კულტურების (ფეტვი, ღომი, ქერი, ხორბალი, ჭვავი) და სიმინდის კულტურის მოვლა–მოყვანის ხალხური ტრადიციები, სავარგული მიწების ათვისება (ახოობა), ნიადაგების ხალხური დახასიათება, ხვნა–თესვა, ნათესების მოვლა–პატრონობა, მოსავლის აღება–დაბინავება, ნიადაგის ეროზიისგან დაცვის ხალხური ღონისძიებები, მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, შრომის იარაღები, ხალხური წეს–ჩვეულებები.<br>პროექტში საექსპედიციო ჩანაწერები (მთხრობელთა გადმოცემები) წარმოდგენილია დიალექტური ფორმების დაცვით. 2018 წლის მონაცემები გამოქვეყნდება პირველი ტომის სახით, რომლის სახელწოდება „მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის შესწავლისათვის“.</td></tr>
<tr><td>4</td><td>IV თემა:<br>დევსქელისა და მურღულის ხეობების ქართული სოფლების ეთნოკულტურული შესწავლა<br><br>მეცნიერების დარგი:<br>ქართველოლოგია (ეთნოლოგია)<br><br>სამეცნიერო მიმართულება –<br>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურული, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, დემოგრაფიული და სოციოლოგიური შესწავლა</td><td>2018–2022</td><td>რ.მალაყმაძე – პროექტის ხელმძღვანელი;<br>ნ.კახიძე<br>ნ.ჩელებაძე,<br>თ.ლომთათიძე<br>მ.ჭიჭილეიშვილი<br>ე.ფუტკარაძე - შემსრულებლები</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br><br>5 წლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის (დევსქელისა და მურღულის ხეობების ქართული სოფლების ეთნოკულტურული შესწავლა) 2018 წლის გეგმით დამუშავდა დევსქელის ხეობის შესახებ არსებული ისტორიულ-ეთნოლოგიური, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და ლინგვისტური სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები, საარქივო და პერიოდული პრესის მასალები. სამეცნიერო მივლინების პერიოდში დევსქელის ხეობის სოფლებში (არავეთი, შუახევი, დევსქელი, ბაგინი, ეზრიკა, ადაგული) შეგროვდა ხეობის ქართველი მოსახლეობის ისტორიული გეოგრაფიის, სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის, საოჯახო ურთიერთობების, რელიგიური რწმენა–წარმოდგენების, დასახლების სტრუქტურის, გვარობრივი შემადგენლობის და სხვ. ამსახველი ეთნოგრაფიული, ფოლკლორულ–დიალექტოლოგიური მასალები. დაფიქსირდა და აღიწერა ხეობაში არსებული თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ხიდები, ეკლესიათა ნაშთები და სხვ. განხორციელდა მასალის ფოტო და ვიდეოფიქსაცია. დაიწყო მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავება. პარალელურად დამუშავდა ხეობის შესახებ</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| **5** | **V თემა:**<br>ქ.ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)<br><br>**მეცნიერების დარგი:**<br>ქართველოლოგია (ეთნოლოგია)<br><br>**სამეცნიერო მიმართულება –**<br>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურული, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, დემოგრაფიუ-ლი და სოციოლოგიური შესწავლა | 2018–2022 | ნ.ჩხაიძე – პროექტის ხელმძღ-ვანელი;<br>კ.ღლონტი - შემსრულებელი |

ანოტაცია

5 წლიანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროექტის („ქ. ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)“ 2018 წლის გეგმით სოციოლოგიური გამოკითხვის გზით შესწავლილია ქ.ბათუმის საჯარო სკოლების მასწავ-ლებელთა მიერ საგანმანათლებლო პროცესის შეფასების კრიტერიუმები. კვლევის სათანადო დონეზე წარმართვის მიზნით, გამოყენებული იქნა როგორც ემპირიულ სოციოლოგიაში დამკვიდრებული ტრა-დიციული, ასევე, რესპოდენტთა სპეციფიკიდან გამომდინარე, მათზე ადაპტირებული კვლევის მეთოდები.

პედაგოგთა სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე ნაჩვენებია მათი დამოკიდებულება მასწავ-ლებელთა პედაგოგიური სტატუსის შესაბამისობაზე მათ კვალიფიკაციასთან, სკოლებში დანერგილ მასწავლებელთა ტესტირებებსა და ტრენინგებთან, პედაგოგთა სერთიფიცირებასთან დაკავშირებით. საუბარია მასწავლებელთათვის კატეგორიების მინიჭებაზე, სხვადასხვა დროს სახელმწიფოში გატა-რებული სასკოლო რეფორმების შეფასებაზე, სკოლებში შემოღებულ 12 წლიანი სწავლების საჭიროებასა და მათ ნეგატიურ მხარეებზე,, მანდატურთა ინსტიტუტის მნიშვნელობაზე, მოსწავლეებისათვის მინიჭებულ არც თუ ისე იშვიათად, გადამეტებულ უფლებებზე, სკოლაში არსებულ დისციპლინაზე, სასკოლო სახელმძღვანელოების დონეზე, სასწავლო პროგრამების ავკარგიანობაზე, მოსწავლეთა სწრე-ბადობაზე, სასკოლო გამოცდების საჭიროებაზე, სკოლის დაფინანსების ვაუჩერული მეთოდის ნაკლოვან მხარეებზე, ქართული საგანმანათლებლო სისტემის ეროვნულ ფასეულობებზე, ძალადობის შემთხ-ვევებზე მოსწავლეთა შორის, მშობლების დამოკიდებულებაზე პედაგოგებთან, მოსწავლეთა სკოლებში მიღების ექსტერიტორიალური პრინციპების უარყოფით მხარეებზე. ყურადღება გამახვილებულია დღეისთვის სკოლებში რელიგიათმცოდნეობის სწავლების საკითხზე, მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟულობაზე, საქართველოს სასკოლო განათლების სისტემაში განხორციელებული ექსპერი-მენტების დადებითი და უარყოფით მხარეებზე, ბათუმში არსებული თურქული და ასევე ისლამური მიმართულების სასწავლებლების ფუნქციონირების მიზანშეწონილობაზე. მოტანილია გამოკითხვაში მონაწილე პედაგოგებთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე სკოლებში გატარებული ღონისძიებების თაობაზე, რომელთა დანერგვა ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის ამაღლებას.

**ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება**

| | | | |
|---|---|---|---|
| **6** | **VI თემა:**<br>აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა,<br><br>**მეცნიერების დარგი:**<br>ენათმეცნიერება (ლექსიკოლოგია). | 2018-2022 წწ. | შუშანა ფუტკარაძე – პროექტის ხელმძღვანელი;<br>ელზა ფუტკარაძე – შემსრულებელი<br>ნაილე მიქელაძე – შემსრულებელი<br>ნარგიზ ახვლედიანი – შემსრულებე-ლი<br>ციალა ნარაკიძე – შემსრულებელი<br>ნანული ნოღაიდელი – შემსრულებე-ლი |

## ანოტაცია

ტაო-კლარჯული ქართულის ლექსიკა მეტად ფასეულია ქართული ენის სიტყვიერების საგანძურის, მისი ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ამ კუთხის ქართულმა დღემდე შემოინახა ქართული ენის უძველესი ლექსიკა, გრიგოლ ხანძთელისა და რუსთაველის დროინდელი ულამაზესი ლექსიკური ერთეულები. მათი უმეტესობა დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ლექსიკიდან გამქრალია; ბევრი ცინცხალი ქართული სიტყვა შეცვლილია უცხო ენიდან გადმონერგილი ლექსიკით. მათ შორის დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: „სამზერო“ შეცვალა ჯერ ირანულმა „აივანმა,“ შემდეგ კი „ბალკონმა“; „ფინი“ – სომხურმა „იატაკმა“ და რუსულმა „პოლმა“. ამდენად, სამხრულ-დასავლური დიალექტები – აჭარული და ტაო-კლარჯული, ენათმეცნიერული თვალთახედვით მეტად საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს. ამ კილოთა სიტყვიერი მასალის შესწავლა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და აქტუალურია. გამოვლინდება ახალი ლექსიკური ერთეულები, ლექსიკური დიალექტიზმები. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სალიტერატურო ენის განვითარებას, მისი ლექსიკური ფონდის გამდიდრებას. გარდა აღნიშნულისა, კვლევა აქტუალურია იმიტომაც, რომ იგი უცხოეთში მცხოვრებ ქართველებში გამოაცოცხლებს ეროვნულ ცნობიერებას. ტაო-კლარჯელთა მეტყველებაში უამრავი სახასიათო ლექსიკური ერთეულია დაუნჯებული, ზოგი არქაული, ზოგიც საკუთრივ დიალექტის კუთვნილება. ბუნებრივია, ამ კუთხით კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს აჭარული და ტაო-კლარჯული კილოების ლექსიკური თავისებურებების საფუძვლიანი, სრულყოფილი შესწავლისათვის.

პროექტის ხელმძღვანელ შუშანა ფუტკარაძის წლიური ნაშრომი ეყრდნობა მისივე მონოგრაფიის – „ჩვენებურების ქართულის“(ტ.I, ბათ., 1993) – ტექსტზე დართულ 325-გვერდიან ლექსიკონს, რომელშიც შეტანილია 8000 სიტყვა. აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვათაგან 2000-ზე მეტი უძველესი ქართული ენის მარგალიტია.

მკვლევარ ელზა ფუტკარაძის მიერ შ. ნიჟარაძის ნაშრომებიდან ამოკრეფილი და ბარათებზე გადატანილი იქნა 8000 ლექსიკური ერთეული. მოძიებული ლექსიკური ერთეული მრავალმხრივ სახასიათოა. გამოვლინდა ლექსიკური დიალექტიზმების საკმაოდ დიდი დაფენება. შესაბამისად, გაჩენილია ახალი სიტყვა-თქმები. განსაკუთრებით საინტერესოა ლექსიკური დიალექტიზმები. მოძიებულ მასალაში გვხვდება ისეთი ლექსემები, რომელთაც ზანური სუბსტრატის კვალი დაუცავს. ასევე, ბევრი სიტყვა ნასესხობის გზით შემოსული და დამკვიდრებულია თურქულიდან, არაბულიდან. ამდენად, მოძიებული მასალა საინტერესოა ლექსიკოლოგიური თუ დიალექტოლოგიური კუთხით. კვლევას აქვს თეორიულ-პრაქტიკული ღირებულება. აღნიშნული კვლევით არაერთი ლექსიკური ერთეული დაიჭერს სათანადო ადგილს აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონაში და შესაბამისად, გაამდიდრებს სალიტერატურო ენის ლექსიკურ ფონდს.

მკვლევარმა ნაილე მიქელაძემ დაამუშავა „აჭარულ და ტაო - კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა“ ლექსიკონისათვის - ფოლკლორული ფონდის არქივივებიდან (1971წლიდან - 1990 წლამდე) მასალები. ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან ამოიწერა როგორც დიალექტური, ასევე უცხო სიტყვები. მათ შორისაა დამუშავებული, ნაწილი სიტყვების, რომლებიც საქართველოში, აჭარაში, შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო შემოსულა და დამკვიდრებულა. ამ მუშაობის შედეგად, ამოწერილია და ბარათებზე გადატანილია ასობით ლექსიკური ერთეული.

პროექტით გათვალისწინებული გეგმის მიხედვით მკვლევარმა ნარგიზ ახვლედიანმა დაამუშავა ინსტიტუტის ეთნოგრაფიული არქივი 1958-1980 წლების ჩათვლით. დარგობრივად დაახარისხა ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს ამ წლებში ჩაწერილი მასალები. ასე მაგალითად, საცხოვრებელ და სამეურნეო შენობა-ნაგებობასთან, მშენებლობასთნ, ნიადაგის ვარგისიანობასთან, ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებებთან, ხვნა-თესვასთან, სახვნელ იარაღთან, ხორბლეულთნ, მკასა და თიბვასთან, მესაქონლეობასთან და სხვა მრავალ დარგთნ დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები. გაანალიზა ვ.შამილაძის, ნ.ჩიჯავაძის, ვლ.მგელაძის, ლ.კალანდარიშვილის, ზ.ნიკოლაიშვილის, თ.ჩიქოვანის და სხვათა ექსპედიციების დროს ჩაწერილი მასალები.

<table>
<tr><td colspan="4">მკვლევარ ციალა ნარაკიძის მიერ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივიდან (1958-1970 წწ. ჩათვლით) ამოკრეფილი და ბარათებზე გადატანილი იქნა 1000-მდე ლექსიკური ერთეული, ლექსიკური ერთეულების უმეტესობა მოცემულია კონტექსტში. ბევრი სიტყვა ნასესხები გზითაა შემოსული და დამკვიდრებული არაბულიდან, თურქულიდან, სპარსულიდან. უცხოური წარმომავლობის ტერმინები ლექსიკონების დახმარებით განმარტებულია.<br>მკვლევარმა ნანული ნოღაიდელმა მიმდინარე პროექტისათვის 2018 წელს დაამუშავა შემდეგი ნაშრომები: მ.ხუბუას „ზემოაჭარულის ენობრივი მიმოხილვა“ (ბათუმი, 1932 წ.); პ.ჯაჯანიძის „აჭარული ლექსიკონის მასალები“ (ქუთაისი, 1961 წ.); ჯ.ნოღაიდელის „აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები“ (ბათუმი, 2015), „ნარკვევები და ჩანაწერები“ (ბათუმი 1971-1981 წწ., შესულია მისივე 1936 და 1940 წწ. გამოცემული ნაშრომები); ნ.ნოღაიდელის „ლექსიკური ძიებანი“ (ბათუმი, 2013 წ.), „ფეიქრობის ტრადიცია და ლექსიკა - აჭარა“ (ბათუმი, 2017 წ.); სტატიები კრებულიდან „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“ (1979-2010 წწ.) და სხვ. სულ ბარათებზე ამოწერილია 9 ათასამდე ლექსიკური ერთეული.</td></tr>
<tr><td>7</td><td>VII თემა:<br>ემიგრანტული ქართული ჟურნალი „ბედი ქართლისა“</td><td>2018-2022</td><td>შოთა ზოიძე – პროექტის ხელმძღვანე-ლი;</td></tr>
<tr><td colspan="4">ანოტაცია<br><br>ემიგრაციაში გამოცემულ ქართულ ჟურნალებს შორის გამოირჩევა „ბედი ქართლისა“ რომელიც გარდამავალი მრავალწლიანი კვლევითი პროექტია. იგი გამოდიოდა 1948-1993 წლებში. მისი დამაარსებლები იყვნენ ცოლ-ქმარი ნინო და კალისტრატე სალიები.<br>2018 წლის წლიურ ნაშრომში განხილულია 1948 წლის 1, 2, 3, 4, 5 ნომრები, რომელსაც აქვს თეორიული და უფრო მეტად პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში წარმოდგენილია ზემოთ დასახელებულ ნომრებში დაბეჭდილი ემიგრანტი მწერლების შემოქმედებითი ნიმუშების ფართო ანალიზი, პუბლიცისტური და ესეისტური ნაწარმოებების თემატიკური და იდეური განხილვა. მათში აისახა ქართველი ემიგრანტების ცხოვრებისა და ურთიერთდამოკიდებულების სურათები. ეს კომენტარები გაამდიდრებს მკითხველის წარმოდგენებს ქართულ ემიგრანტულ მწერლობაზე და წაადგება ჩვენი ლიტერატურის, ისტორიისა და ზოგადად, ქართული ემიგრაციის მკვლევარებს.</td></tr>
<tr><td>8</td><td>VIII თემა:<br>ემიგრანტული გაზეთი „თეთრი გიორგი“</td><td>2018-2022</td><td>ნანი გუგუნავა – პროექტის ხელმ-ძღვანელი;</td></tr>
</table>

| ანოტაცია |
|---|
| პარიზში, საერთოდ ევროპაში, მრავალი დასახელების გაზეთი გამოიცა ქართველი ემიგრანტების მიერ. ყველა მათგანის შესწავლა და ანალიზი ერთბაშად შეუძლებელია.<br>სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საპასუხოდ, პირველ ეტაპზე შერჩეულ იქნა 1926-1939 წლებში პარიზში დასტამბული გაზეთი „თეთრი გიორგი“.<br>კვლევის მიზანი და სამეცნიერო ღირებულება გახლავთ იმ ფასეულობის (ლიტერატურა, ჟურნალისტიკა, პუბლიცისტიკა) გაცნობა, რომელიც დღემდე ტაბუდადებულია ქართული საზოგადოებისათვის.<br>2018 წელს, პროექტის შესაბამისად, მკვლევარმა ნანი გუგუნავამ მოამზადა სამეცნიერო ხასიათის სამი წერილი: „ქართული ემიგრანტული გაზეთი „თეთრი გიორგი“, N1, ქართული ემიგრანტული გაზეთი „თეთრი გიორგი“ ,N3, „თეთრი გიორგი“ ქართული რელიგიონიზაციის შესახებ“.<br>პირველი ნომრის მიმოხილვისას გაანალიზებული აქვს გაზეთის იდეური პერიოდულობა, გამოცემის ხარისხი. საუბარი აქვს გაზეთის რედაქტორებზე, თანამშრომლებზე, მხატვრებზე.<br>ავტორის მიერ გაშუქებულია გაზეთის დანიშნულება – დაენახვებია ქართული დემოკრატიული სული მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ევროპელთათვის, დასაბამი მიეცა თავისუფალი ქართული აზრისათვის. ამავდროულად, შემოენახა ინფორმაციები უცხოეთში მცხოვრები ქართველი მწერლების, მეცნიერების, მხატვრების, ჟურნალისტების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ხაზგასმულია გაზეთის დიდი როლი – მან შეძლო მოემზადებინა აზრი ქართულ მომავალ დიდ ეროვნულ საქმეთა საკეთებლად.<br>რაც შეეხება ქართველთა რელიგიოზურობის საკითხს, აქ ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი ხედვის („ქართველები რელიგიოზური ხალხი არ არიან“–ბ. ალენი, „საქართველოს ისტორია განისაზღვრება ქრისტიანობის ისტორიით“ – პლატონ იოსელიანი) ფონზე, დიდ ქართველ მამულიშვილთა მოსაზრებების შესაბამისად, უპირატესობა მინიჭებული აქვს მეორეს. |

## 2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

2.1.

| № | **გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი | პროექტის დაწყების და დამთავრების წლები | პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით) |
|---|---|---|---|
| 1 | ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი<br><br>**FR17-504** | 20.12.2017<br>20.12.2020 | ირინე ვარშალომიძე (სამეცნიერო ხელმძღვანელი) |
| ანოტაცია<br><br>მიმდინარე საანგარიშო წელს დამუშავდა ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების ფოტო მასალა და გამოიყო მონეტების რამდენიმე ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ჯგუფი: კოლხური თეთრები (ძვ. წ. V-III ს), კლასიკური ხანის უცხოური (ძვ. წ. V-III ს), ელინისტური (ძვ. წ. III-I ს), რომაული (ა. წ. I-III ს), პართული (ძვ. წ. I- ა.წ.I ს), სასანური (ა. წ. III-IV სს), ბიზანტიური (VI-XII სს), შუასაუკუნეების ქართული, არაბული (VIII-IX სს), სელჩუკური (XIII ს), მონღოლური (XIII ს), ტრაპიზონის (XIII ს), ევროპული (XVI-XIX სს), რუსული და ოსმალური (XVII-XIX სს) მონეტები. აღიწერა კოლხური თეთრების (74 ერთ.) შუბლისა და ზურგის მხარე, დადგინდა ნომინალები (ტრიობოლი), ემისიის დრო, დამუშავდა სპეციალური ლიტერატურა და მოიძებნა პარალელები. შემდეგ ეტაპზე აღიწერა კლასიკური ხანის უცხოური მონეტების (102 ერთეული) შუბლისა და ზურგის მხარე, გაიშიფრა ბერძნული | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ზედწერილები, დადგინდა ნომინალები და ემისიის ცენტრები (მაკედონია, პანტიკაპეონი). წამყვანია სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთის ქ. სინოპე. დამუშავდა სპეციალური ლიტერატურა და მოიძებნა პარალელები. იგივე სამუშაო შესრულდა ელინისტური ხანის მონეტებთან მიმართებით: აღიწერა შუბლისა და ზურგის მხარე, გაიშიფრა ბერძნული ზედწერილები, დამუშავდა სპეციალური ლიტერატურა, მოიძებნა პარალელები, განისაზღვრა ემისიის დრო და ადგილი (30 ერთეული). საანგარიშო პერიოდის ბოლო ეტაპი დაეთმო მივლინებას საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკური კაბინეტის | | | |
| 2 | ისტორიული ჭანეთის ცენტრალურ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო ნაგებობები, ეკლესიები, საკომუნიკაციო და საყოფაცხოვრებო არქიტექტურის ნიმუშები);<br><br>**FR217910** | 2016 - 2019 | სულხან მამულაძე (ძირითადი პერსონალი) |
| ანოტაცია<br><br>2018 წელს მოცემული პროექტის განმავლობაში განხორციელდა სამეცნიერო მივლინება გუმუშხანეში მის შემოგარენსა და დეღრი-მენდერეს ხეობაში. შესწავლილ იქნა აღნიშნული რეგიონის საფორტიფიკაციო, საგზაო, ზოგიერთი საეკლესიო ნაგებობანი; ასევე აქაური მკვიდრი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, გუმუშხანეს შემოგარენის ზოგიერთი ტოპონიმიკური და ფოლკლორული მასალები. პარალელურად განხორციელდა პონტოსპირეთის ბრინჯაოს ხანის მეტალურგიასთან დაკავშირებული ძეგლების შესწავლა-ფოტოფიქსაცია. ექსპედიციის შედეგად მოპოვებული მასალები დამუშავდა და გამოქვეყნდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციის მასალებში. | | | |
| 3 | ქართველი ხალხის ეთნოლო-გიური ლექსიკონი - აჭარა ქართველოლოგია FR/541-50/14 | 2015-2018 | თამილა ლომთათიძე<br>ჯემალ ვარშალომიძე<br>ჯემალ მიქელაძე – შემსრულებლები |
| ანოტაცია<br>2018 წელს დასრულდა მუშაობა პროექტზე. ამ ეტაპზე მოხდა მოძიებულ ტერმინთა და მათი განმარ-ტებების დალაგება ანბანზე, მასალის მომზადება დასაბეჭდად, შევსება ფოტო და გრაფიკული მასალით, რედაქტირება. მომზადდა საძიებლები და განმარტებანი. მუშაობის შედეგები აისახა მონოგრაფიაში „ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი - აჭარა“. | | | |

## 2.2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტები:

| № | **დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი | პროექტის დაწყების და დამთავრების წლები | პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით) |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| | ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა | | |
| 1 | ისტორიისა და კულტურის ძეგლები მაჭახლის ხეობაში | 15/02/2018 – 15/12/2018 | სულხან მამულაძე (ძირითადი შემსრულებელი) |
| ანოტაცია<br><br>პროექტის განხორციელების შედეგად ძალზე მნიშვნელოვან და სამეცნიერო წრეებისათვის მეტად საინტერესო შედეგებს იქნა მიღწეული. პროექტის მიმდინარეობისას მკვლევართა ჯგუფის მიერ განხორციელდა საკვლევი რეგიონის კომპლექსური შესწავლა. გაანალიზებულ იქნა სხვადასხვა, ქართული თუ უცხოური, წერილობითი წყაროები და რეგიონში არსებული მუზეუმების ფონდების არქივებში დაცული ხელნაწერები, რომელთა შეჯერება-შედარების საფუძველზე გაკეთდა ახალი, მეტად მნიშვნელოვანი დასკვნები.<br>უმთავრესი სიახლეები მაინც საკვლევ რეგიონში განხორციელებულ ექსპედიციებს უკავშირდება. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მაჭახლის ხეობაში მიკვლეულ და შესწავლილ იქნა სამეცნიერო წრეებისათვის დღემდე უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი ისტორიული ძეგლები, მათ შორის საფორტიფიკაციო (გვარასა და ჩხუტუნეთის ციხეები) და საკომუნიკაციო დანიშნულების (ცხემლარას, ჩხერის, ქოქოლეთის, გორგაძეთისა და ზვარიას თაღოვანი ხიდები) ნაგებობანი, მარან-საწნახლები (სინდიეთისა და ჩხუტუნეთის მარნები, ცხემლარას მარანი და საწნახელი, კოსტანეთის, ჯანაურას, ჭონჭყოს, მერეს, სინდიეთისა და გულიავის საწნახლები), ქვის საცეხველები, საოჯახო ფურნეები, წისქვილები და შადრევნები.<br>რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მაჭახლის ხეობას, აქ განხორციელებული ექსპედიცია განსაკუთრებული სიახლეებით იყო დატვირთული, მათგან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ხერთვისის ციხე და შაჰან ყაია), რომელთა იდენტიფიცირება დღემდე ვერ ხერხდებოდა. ამავე რეგიონში მიკვლეულ იქნა ერთ ნაეკლესიარს (ეფრატის) და ასევე ერთ დარბაზული ტიპის ეკლესიას (აკრიის). დადასტურდა კარჩხალის შუა საუკუნეების ნაქალაქარის არსებობაც, რომელიც დღემდე მხოლოდ გადმოცემების დონეზე გახლდათ ცნობილი. რაც შეეხება საკომუნიკაციო ნაგებობებს, მიკვლეულ იქნა ხუთ თაღოვან ხიდს (ეფრატის, ვაციეთის, აკრიას, მინდიეთისა და ზუიღელის), რომელთაგან დღემდე მხოლოდ ორი გახლდათ იდენტიფიცირებული. მეტად საინტერესო აღმოჩნდა ისიც, რომ მოცემულ რეგიონში მხოლოდ ერთ მარანს იქნა მიკვლეული, თუმცა ადგილობრივთა თქმით როგორც სამეურნეო, ისე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისას მრავლად ხვდებათ ქვევრის არტეფაქტები და კირქვით ნაშენ ნაგებობათა ფრაგმენტები, თუმცა სამწუხაროდ მათი დიდი ნაწილი განადგურებულა.<br>პროექტის შედეგად მომზადდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა გრაფიკული და სქემატური ჩანახაზები, ასევე მომზადდა შესასწავლი რეგიონის რუკები, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ინტერაქტიული ვებ-რუკა, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს არა მხოლოდ ფართო აკადემიურ წრეებს, არამედ მოცემულ რეგიონში ტურისტული მიზნებით დაინტერესებულ პირებსაც.<br>ამდენად, ვფიქრობთ რომ, პროექტი წარმატებით განხორციელდა, რისი დასტურიც ჩვენ მიერ მიღწეული შედეგები გახლავთ, რომლებიც უახლოეს მომავალში მონოგრაფიის სახით გამოიცემა ქართულ და თურქულ ენებზე. | | | |

## 3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1.

| № | **გარდამავალი** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების | პროექტის დაწყების და დამთავრების წლები | პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით) |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| | მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა | | |
| 1 | Polish Georgian Joint Archaeological Expedition in Gonio-Apsarus | 01/06/2017 – 01-06-2021 | Sulkhan Mamuladze (Principal Investigator) |
| ანოტაცია<br><br>პროექტი, რომელსაც პოლონურ ქართული მხარე ერთობლივად ახორციელებს, ხორციელდება ვარშავის უნივერსიტეტისა და იუნესკოს დაფინანსებით გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე. პროექტის განმავლობაში, გასულ წელს მოხდა ოთხი უბნისა და ასევე ციხის გარე ტერიტორიის შესწავლა. გამოვლინდა ახალი არქიტექტურული ნაგებობები, რომელთა საბოლოო იდენტიფიცირება პროექტის განხორციელების შემდგომ ეტაპებზე მოხდება. ასევე შესწავლილ იქნა თითოეულ უბანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები. პროექტის ფარგლებში ხდება მასში ჩართული ადგილობრივი პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მივლინება ვარშავის უნივერსიტეტსა და ამავე უნივერსიტეტის არქეოლოგიურ ინსტიტუტში. | | | |
| 2 | Institution Centered Local Conflict Study;<br>Volkswagen Foundation, Germany | 2015-2019 | რუსლან ბარამიძე, მკვლევარი |
| | ანოტაცია<br>პროექტში "კონფლიქტების ინსტიტუტციონალურად ორიენტირებული შესწავლა" ხორციელდება ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით. მასში მონაწილეობას ღებულობენ ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნალჩიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის უმაღლესი სკოლის, მაიკოპის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მარბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები, მეცნიერ თანამშრომლები და პროფესორები.<br><br>პროექტი მოიცავდა სემინარებს კვლევების მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი ასპექტების, სასწავლო კომპონენტების ადაპტირებისა და რეალიზების გზების, სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორების თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ. ასევე პროექტი ითვალისწინებდა კვლევების ჩატარებას და სამეცნიერო ნაშრომების მომზადებას ლოკალური კონფლიქტების შესახებ.<br><br>2018 წლის განმავლობაში პროექტი ითვალისწინებდა დამატებითი მასალების მოძიებას და დასკვნით ნაშრომებზე მუშაობას.<br><br>პროექტი დაფინანსებულია Volkswagen Foundation მიერ. | | |

## 4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

### 4.1. მონოგრაფიები/წიგნები

<table>
<tr><th>№</th><th>ავტორი/ავტორები</th><th>მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN</th><th>გამოცემის ადგილი, გამომცემლობა</th><th>გვერდების რაოდენობა</th></tr>
<tr><td>1</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>ხასან თხილაიშვილი, კაცი რომელიც ლეგენდად იქცა<br><br>ISBN 978-9941-26-316-3</td><td>თბილისი,<br>გამომც.<br>„უნივერსალი“</td><td>196 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br>მონოგრაფია მიეძღვნა ქობულეთში ოსმალო დამპყრობლების მიერ 1918 წლის 14 ივლის ჩატარებული ე. წ. რეფერენდუმისა და ამ რეფერენდუმის ჩატარებისას ქობულეთელი ქართველი პატრიოტის ხასან თხილაიშვილის მიერ გამოვლენილი გმირული სულისკვეთების 100 წლისთავს. მასში გადმოცემულია ხასან თხილაიშვილის ბიოგრაფია და ფართოდ არის მოთხრობილი იმ გარემოს შესახებ, რომელშიც მას ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა; გადმოცემულია მისი ცნობილი თანამედროვეების ბიოგრაფიები და ხასან თხილაიშვილის თანამებრძოლების მოგონებები ამ პიროვნების შესახებ, მასზე შექმნილი ხალხური გადმოცემები და ლექსები თუ თანამედროვე პოეზიის ნიმუშები. წიგნი შეიცავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სტატიებსა და ლიტერატურასაც. იგი დასურათებულია ხასან თხილაიშვილისა და მისი თანამებრძოლების თუ იმ პერიოდის ცნობილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა, აგრეთვე ამ პიროვნებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ამსახველი ფოტოებით. როგორც საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან თარიღისადმი მიძღვნილ ნაშრომს, მონოგრაფიას გააჩნია დიდი მეცნიერული და შემეცნებით-აღმზრდელობითი დანიშნულება.</td></tr>
<tr><td>2.</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>ნიკო ბერძენიშვილი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ხსოვნის წიგნი<br><br>ISBN მიენიჭება</td><td>ბათუმი,<br>გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გადაცემულია გამოსაცემად</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br><br>წიგნი ეძღვნება ბათუმის შრს უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის (ყოფილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილი სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) მეცნიერ-თანამშრომელთა ხსოვნას და გამოიცემა ინსტიტუტის დაარსებიდან 60 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. მასში მოცემულია ინსტიტუტის გარდაცვლილ მეცნიერ თანამშრომელთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და მოთხრობილია ინსტიტუტის საქმიანობაში მათ მიერ შეტანილი ღვაწლის შესახებ.</td></tr>
<tr><td>3.</td><td>გიორგი თავამაიშვილი</td><td>თამბაქო და გვიანი შუასაუკუნეების ოსმალური თიხის ჩიბუხები<br><br>ISBN მიენიჭება</td><td>ბათუმი,<br>გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>293 გვერდი;<br><br>გადაცემულია გამოსაცემად</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br><br>მონოგრაფია „თამბაქო და გვიანი შუასაუკუნეების ოსმალური თიხის ჩიბუხები“ ეძღვნება ფრიად ორიგინალურ ნაკეთობებს - თამბაქოს მოსაწევ თიხის ჩიბუხებს, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი გვიანი შუასაუკუნეების ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების, განსაკუთრებით კი სამხედრო-სტრატეგიული ობიექტების ციხე-სიმაგრეების გათხრების დროს.<br>ქართულენოვან სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში დღემდე ნაკლებად მოგვეპოვება შრომები თამბაქოს ისტორიის შესახებ, ამიტომ ავტორმა მიზანშეწონილად ჩათვალა ჩიბუხებთან დაკავშირებული საკითხების წარმოჩენასთან ერთად ვრცლად ესაუბრა თამბაქოს კულტურის ისტორიის, კერძოდ, მისი აღმოჩენის, გავრცელების, გამოყენების და ამ პროცესის თანმხლები საინტერესო ისტორიული მოვლენების შესახებ, ნაშრომში ცალკეა მიმოხილული თამბაქოს ტრადიციული მოსაწევი საშუალებები,</td></tr>
</table>

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უფრო დეტალურად კი - თიხის ჩიბუხები, მათი ევროპული და აღმოსავლური ვარიანტები, ამ უკანასკნელ-თა ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიის საკითხები. ფოტო-ილუსტრაციებისა და კატალოგის ფორმით მკითხველს მიეწოდება მასალა გონიო-აფსაროსის შიდაციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი აღმოსავლური ტიპის ჩიბუხების ზოგიერთი სპეციფიკური ჯგუფის შესახებ, სადაც აქცენტირებულია მათ ფორმებთან, ორნამენტაციასა და დათარიღებასთან დაკავშირებული საკითხები. ნაშრომს თანდართული აქვს ვრცელი ბიბლიოგრაფია, რაც მომავალშიც მნიშვნელოვნად დაეხმარება ამ თემებით დაინტერესებულ მკვლევრებს. | | | | |
| 4. | თამილა ლომთათიძე<br>ჯემალ ვარშალომიძე<br>ჯემალ მიქელაძე<br>ნუგზარ მგელაძე<br>თემურ ტუნაძე<br>ლია მელიქიშვილი<br>თამილა ცაგარეიშვილი<br>ელდარ ნადირაძე<br>ნოდარ შოშიტაშვილი<br>მზია ჯღარკავა<br>ნანა სტამბოლიშვილი | ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი - აჭარა<br>ISBN 978-9941-8-0273-7 | თბილისი, „სამშობლო“ | 640 |
| ანოტაცია<br>მონოგრაფია შესრულებულია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ესაა საცნობარო-განმარტებითი ხასიათის ნაშრომი, რომელშიც მოცემულია აჭარის მოსახლეობის ტრადიციული კულტურული ფასეულობების, სოციალური ურთიერთობების, სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი ეთნოგრაფიული ცნებები და ტერმინები, ანბანზე დაწყობილი, განმარტებებით, შესაბამისი ფოტო-გრაფიკული მასალით. ლექსიკონში მოცემული მდიდარი საცნობარო მასალა, რომელიც ქართველი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას ასახავს. მასში წარმოჩენილია არა მხოლოდ მხარის ეთნოგრაფიული მონაცემები, არამედ მასში გარკვეული ადგილი აჭარის მოსახლეობის ფოლკლორული და დიალექტოლოგიური ხასიათის მასალასაც ეთმობა. თეორიულ ნაწილთან ერთად წარმოდგენილია სათანადო ვიზუალური მასალა. ლექსიკონი გათვალისწინებულია ეთნოლოგების, ენათმეცნიერების, ფოლკლორისტების, სტუდენტებისა და მხარის ისტორიითა და კულტურით დაინტერესებული მკითხველისათვის. | | | | |

## 4. 2. სახელმძღვანელოები

| № | ავტორი/ ავტორები | სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | იან კიოლერი, ალექსეი გუნია | ლოკალური კონფლიქ-ტების ემპირიული კვლევები, საველე კვლევების მეთოდოლო-გიისა და მეთოდების შესავალი (მეორე, გადამუშავებული გამოცემა);<br><br>რუსულიდან თარგმნა ნინო ინაიშვილმა, სამეცნიერო რედაქტორი – გაგა ნიჟარაძე | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 201 გვ. | წიგნის ქართულ ენა-ზე გამოცემა განხორ-ციელდა Folkswagen Foundation-ის მიერ დაფინანსებული პროექტის Institution Centered Local Conflict Stu |

<table>
<tr><td></td><td></td><td>ISBN 978–9941–462–67–2</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>წიგნში „ლოკალური კონფლქიტების ემპირიული კვლევები“ ასახულია ლოკალური კონფლიქტების შესწავლის მეთოდოლოგიის თავისებურებები, მოცემულია ისეთი საკვანძო ტერმინების ანალიზი, როგორიცაა რესურსები, აქტორები, ინსტიტუტები და სხვ. კავკასიისა და შუა აზიის განსხვავებული რეგიონების მაგალითებზე ილუსტრირებულია კონფლიქტური ველების გამოვლენის მეთოდები და მიდგომები, სხვადასხვა აქტორებისა და ინსტიტუციური მექანიზმების როლის ანალიზი კონფლიქტების რეგულირებასა და დინამიკაში. წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სკოლების ლექტორების, რომლებიც კითხულობენ კონფლიქტოლოგიის კურსს, აგრეთვე მკვლევრებისა და სპეციალისტებისთვის, რომლებსაც კონფლიქტური სიტუაციების ანალიზთან აქვთ შეხება.<br>წიგნი მკვლევარს აწვდის აუცილებელ მეთოდურ და მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტარიუმს განვითარების პირობებისა და ფაქტორების დიაგნოსტირებისთვის მაღალი სოციალური დაძაბულობის მქონე რეგიონებში.</td></tr>
<tr><td>2</td><td>დონოვან დ.რიპკემა</td><td>კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკა<br><br>თარგმანი – ლ.დავითაძე, გამოცემის რედაქტორი და წინასიტყვაობა – ნინო ინაიშვილი.<br><br>ISBN 978-9941-16-593-1</td><td>თბილისი, გამომც. „საქართველოს მაცნე“</td><td>204 გვ.</td><td>წიგნის თარგმნა და ქართულ ენაზე გამოცემა განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>დონოვან რიპკემას წიგნში „მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკა“ მემკვიდრეობის დაცვა და მისი სწორი მართვა განიხილება როგორც ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მძლავრი ფაქტორი. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის, პირველ რიგში უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა სფეროს (მემკვიდრეობის დაცვა, ეკონომიკა, საჯარო პოლიტიკა, ტურიზმი და სხვ.) ლექტორების, სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის, ასევე, საჯარო მოხელეების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დარგის სპეციალისტებისა და ძეგლთა დაცვის აქტივისტებისთვის.</td></tr>
</table>

## 4.3. კრებულები

| № | ავტორი/ავტორები | კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN | გამოცემისადგილი, გამომცემლობა | გვერდებისრაოდ ენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბიჭიკო დიასამიძე<br>უჩა ოქროპირიძე<br>ოთარ თურმანიძე<br>ნინო ინაიშვილი<br>გიორგი თავამაიშვილი<br>ნოდარ კახიძე<br>ნაილა ჩელებაძე | ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV<br>ISSN 1512-4951 | ბათუმი „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | გადაცემულია დასაბეჭდად |

<table>
<tr><td></td><td>თამილა ლომთათიძე<br>შუშანა ფუტკარაძე<br>ელზა ფუტკარაძე</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br>კრებული არქეოლოგიური მონაცემების, სხვადასხვა წერილობითი წყაროებისა და ლიტერატურის, საექსპედიციო მასალების და ანალიზის საფუძველზე შესწავლილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული არქეოლოგიური ძეგლები ნეოლითურ-ხანიდან ანტიკური ხანის ჩათვლით, მუნიციპალიტეტის ისტორია, უძველესი დროიდან 1990-იან წლებამდე სოციალურ-ეკონომიკური განვითარება 1921-1990 წლებში. ეთნოლოგიურ ნაწილში დახასიათებულია მეურნეობის ტრადიციული დარგები (მიწათმოქმედება, მევენახეობა-მეღვინეობა და მეხილეობა, მესაქონლეობა, მონადირეობა და მეთევზეობა) და სამეურნეო ყოფა, კულტურის, განათლებისა და ტრადიციულ და თანამედროვე სულიერი კულტურის საკითხები. ფოლკლორულ-დიალექტოლოგიურ ნაწილში განხილულია ქობულეთის მოსახლეობისა და ქობულეთელ მუჰაჯირთა (რომლებიც განსახლებული არიან თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში) მეტყველების თავისებურებანი, ტოპონიმია, ქობულეთელთა ლექსიკაში გავრცელებული ზანიზმები.<br>კრებული ეძღვნება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავს.</td></tr>
<tr><td>2</td><td>ავტორთა კოლექტივი</td><td>„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტომი IX;<br><br>ISSN 1987-8745</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>319 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br><br>კრებული გამოიცა კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის (იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) და კანონიკური სამართლის შესწავლისა და კვლევის ცენტრის თანამონაწილეობით.<br>ქართველ და უცხოელ (რუსეთი, ჩინეთი, თურქეთი) მეცნიერ-მკვლევართა ავტორობით წარმოდგენილ 37 ნაშრომში, ტრადიციულად, გაშუქებულია ქალაქ ბათუმის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, არქიტექტურის, ტოპონიმიის, თანამედროვე ქალაქური ყოფისა და კულტურის, დემოგრაფიის, კონფესიური ვითარების, ტურიზმის განვითარებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. წლევანდელ კრებულს თან ერთვის ცნობილი მეცნიერისა და მკვლევარის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომის ამსახველი მასალებიც.</td></tr>
<tr><td>3</td><td>ავტორთა კოლექტივი</td><td>,,ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტომი X;<br><br>ISSN 1987–5916</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>681 გვ.</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br><br>კრებულში წარმოდგენილია საინტერესო მასალები ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, ეროვნული ცნობიერებისა და ფასეულობების, კულტურათა დიალოგის, სწავლა-აღზრდისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სულ დაიბეჭდა 68 სამეცნიერო სტატია, რომელთა ავტორები არიან როგორც საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო ცენტრის, ისე უცხოეთის წარმომადგენლები (რუმინეთი, რუსეთი, პოლონეთი, ჩინეთი, თურქეთი).</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="5"></td></tr>
<tr><td>4</td><td>ბიჭიკო დიასამიძე<br>ოლეგ ჯიბაშვილი<br>უჩა ოქროპირიძე<br>ოთარ თურმანიძე<br>გიორგი თავამაიშვილი<br>ირინე ვარშალომიძე<br>მერაბ მეგრელიშვილი</td><td>„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“ , ტომი III (VIII)<br><br>ISSN 1987-524X</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გადაცემულია დასაბეჭდად</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br><br>კრებულში შეტანილი სტატიები ეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემებს. მკითხველი გაეცნობა, აგრეთვე, ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშს, რეცენზიებს, ანოტაციებს ახალ წიგნებზე და სხვა საინტერესო საკითხებს. კრებული საინტერესო იქნება არამარტო სპეციალისტ-ისტორიკოსთათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვისაც.</td></tr>
<tr><td>5</td><td>ნოდარ კახიძე<br>თამილა ლომთათიძე<br>ნაილა ჩელებაძე<br>ჯემალ მიქელაძე<br>ნუგზარ ჩხაიძე<br>კონსტანტინე ღლონტი</td><td>სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები. VI<br>ISSN 1987–5274</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გადაცემულია დასაბეჭდად</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br>კრებულში დახასიათებულია ცნობილი ქართველი პუბლიცისტის, ეთნოლოგისა და ფოლკლორისტის თედო სახოკიას ღვაწლი აჭარის XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და წინა პერიოდის აჭარის საზოგადოებრივი ცხოვრების, ყოფისა და კულტურის შესწავლაში. სტატია იბეჭდება თედო სახოკიას დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც 2018 წელს შესრულდა. აჭარის მაგალითზე განხილულია ეთნოეკოლოგიისა და ისტორიული გამოცდილებისა და მისი თანამედროვე პრიობებში გამოყენების შესაძლებლობის საკითხები. მაჭახლის ხეობის მაგალითზე შესწავლილია ქვის საცეხველები, მათი დამზადების ხალხური ტექნოლოგიის საკითხები და ფუნქციონალური დანიშნულება, მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. ეთნოგრაფიული საექსპედიციო მასალების მიხედვით დახასიათებულია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი შავშეთ-იმერხევსა და ტაოში. გაშუქებულია მცირე ბიზნესის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემები ქალაქ ბათუმში 2017 წლის სოციოლოგიური კვლევის შედეგების საფუძველზე. დახასიათებულია მცირე ბიზნესის განვითარების ასპექტები საქართველოსა და აჭარაში, აზროვნების სოციოლოგიის ზოგიერთი ასპექტი.</td></tr>
<tr><td>6</td><td>ნოდარ კახიძე<br>როინ მალაყმაძე<br>თამილა ლომთათიძე<br>ნაილა ჩელებაძე<br>ჯემალ ვარშალომიძე<br>რუსლან ბარამიძე<br>ჯემალ მიქელაძე<br>ნუგზარ ჩხაიძე<br>კონსტანტინე ღლონტი</td><td>მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის. I<br><br>ISSN 1987–5274</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გადაცემულია დასაბეჭდად</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="5">კრებულში, რომელიც ნაწილია ხუთწლიანი (2018–2022) გარდამავალი თემისა („ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული 1958–1990–იან წლებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები) თემატური დამუშავება და გამოსაცემად მომზადება“) შესულია მხოლოდ მემინდვრეობაზე არსებული მონაცემები, კერძოდ, მასში შესულია ცნობები (მთხრობელთა გადმოცემები) სიმინდის კულტურამდელი მარცვლეული კულტურებისა (ფეტვი, ღომი, ქერი, ჭვავი, ხორბალი) და სიმინდის გავრცელება–დამკვიდრების შემდეგ ამ კულტურის მოვლა–მოყვანის ტრადიციებზე, სავარგული მიწების ათვისებაზე (ახოობაზე), ნიადაგების ხალხურ დახასიათებაზე, მიწის განოყიერებაზე, ნიადაგის ეროზიისგან დაცვის ხალხურ საშუალებებზე, მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმებზე, ხალხურ წეს–ჩვეულებებზე და ა.შ.</td></tr>
<tr><td>7</td><td>ავტორთა კოლექტივი</td><td>„აჭარული საუნჯე“, IV,<br>ISBN 978-9941-434-82-2.</td><td>ბათუმი,<br>„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.</td><td>430</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br><br>მკითხველთა წინაშე წარმოდგენილი წიგნი ეძღვნება 1977-2016 წლებში ქედის რაიონის (აჭარა) სკოლების მასწავლებლებისა და რაიონის კულტურის სახლისა და ცენტრის მუსაკების მიერ ქედის სოფლებში აწერილი ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალების წარმოჩენას. ეს კეთილშობილური, ეროვნული საქმიანობა წლების მანძილზე ხორციელდებოდა ქედის კულტურის ცენტრისა და განათლების ცნობილი მუშაკების -ქეთევან საფარიძის, ლია მახარაძისა და ლეილა ბეჟანიძის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით. მასალა ჩაწერილია 65 სოფელში.<br>ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილებას აღნიშნული მასალა გადმოეცა წიგნად ჩამოყალიბების მიზნით. თვეების მანძილზე განყოფილებაში მიმდინარეობდა მოპოვებული მასალის დამუშავება ჟანრობრივად. ამ სამუშაოს შესრულებაში აქტიურად მონაწილეობდნენ განყოფილების წევრები: შ. ფუტკარაძე, ე. ფუტკარაძე, ც. ნარაკიძე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალბატონ ნანული ნოღაიდელის ღვაწლი, რომელმაც ლექსიკონი დაურთო აღნიშნულ კრებულს.<br>ამ კრებულის გამოცემით გაკეთდა დიდი ეროვნული საქმე; შთამომავლობას წიგნის საშუალებით გადაეცა ძვირფასი საუნჯე, წინაპართა ნაანდერძევი სიბრძნე.</td></tr>
<tr><td>8</td><td>შ. ფუტკარაძე,<br>შ.ზოიძე,<br>ნ. ნოღაიდელი,<br>ე. ფუტკარაძე,<br>ც. ნარაკიძე,<br>ნ. მიქელაძე.</td><td>„გამონათლევი“, II,<br>ISBN 978-9941-434-78-5</td><td>ბათუმი,<br>„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="5">ანოტაცია<br>კრებულის სახელი „გამონათლევი“ აღებულია მაღალმთიანი აჭარის (შუახევის რაიონი) მირათის ხევში ჩამომდინარე ჩირუხის წყლის განაპირად მდებარე მინდვრის გეოგრაფიული სახელისაგან-„გამონათლევი“. ლეგენდის მიხედვით, ამ მინდორში აგვისტოს 19-ში ღამით მალულად ინათლებოდნენ ამ ხეობის ქართველი ოსმალთა ბატონობის ეპოქაში.<br>კრებულის მიზანია მკითხველს მიაწოდოს სამშობლოს სიყვარულით გამთბარი პუბლიცისტური წერილები ქართული ენისა და ლიტერატურის საინტერესო საკითხებზე. კრებულის პირველი ტომი დაიბეჭდა 2014 წელს. მისი მკითხველი დაგვეთანხმება, რომ კრებული დასახულ მიზანს ემსახურება.<br>აღნიშნული კრებული არის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების პერიოდული ორგანო. გამოსაცემად უკვე მზადაა „გამონათლევის“ მეორე ტომი, რომელიც კვლავ მოემსახურება დასახულ მიზანს.</td></tr>
<tr><td>9</td><td>ავტორთა კოლექტივი</td><td>„წერილები სტამბოლის ქართული</td><td>ბათუმი,</td><td>იბეჭდება</td></tr>
</table>

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სავანიდან“, ტ.II | „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“. | |

ანოტაცია

კრებული ეძღვნება ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტრის არქივსა და ბიბლიოთეკაში შემონახულ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების წარმოჩენას.

1861 წლიდან 1981 წლამდე აღნიშნულ სავანეში თავს იყრიდა ქართველი ერის სულიერი კულტურის თვალსაჩინო ნიმუშები; მონასტრის სასტუმრო წლების მანძილზე მასპინძლობდა რეპრესირებულ, ემიგრანტულ ქართველებს, ცნობილ მამულიშვილებს, რომელთა ნაფიქრ- ნააზრევის დიდი ნაწილი ამ სავანეში რჩებოდა.

ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების წევ-რები- ელზა და შუშანა ფუტკარაძეები პერიოდულად იკვლევდნენ ამ სავანის ბიბლიოთეკასა და არქივს. მოპოვებულია მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროების ქსეროასლები. ამ მასალით შეიქმნა აღნიშნული კრებულის პირველი ტომი 2017 წელს. უკვე გამოსაცემად მზადაა ამ კრებულის მეორე ტომი(900) გვერდი.

მკითხველი საზოგადოების წინაშე კვლავ წარმოჩნდება ჩვენი სახელოვანი წინაპრების კერძო და პუბლიცისტური წერილები“, რომელიც მკითხველში აამაღლებს ეროვნულ ცნობიერებას.

## 4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

| № | ავტორი/ ავტორები | სტატიის სათაური, ISSN | ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი | გამოცემის ადგილი, გამომცემლობა | გვერდების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბიჭიკო დიასამიძე, (თანაავტორი: ისტ.დოქტ. ოლეგ ჯიბაშვილი) | ხინოწმინდის ეპარქია;<br><br>ISSN 1987-5916 | „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორი-სო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასალები), X | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გვ. 227-239 |

ანოტაცია

ნაშრომში არქეოლოგიურ და წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით გაშუქებულია ხინოწმინდის საეპისკოპოსოს ისტორია, ამასთან, ნაჩვენებია საეპისკოპოსოს შესწავლასთან დაკავშირებით დღეისათვის არსებული ვითარებაც.

უახლეს არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხინოს საეპისკოპოსო X-XI საუკუნეებში უნდა დაარსებულიყო.

ნაჩვენებია საუკუნეების მანძილზე ხინოს ეპარქიაში ფართოდ გაშლილი სამწიგნობრო-საგანმანათლებლო საქმიანობა, ეპარქიის მნიშვნელობა, ზოგადად, ქრისტიანული საქართველოსათვის. ნათქვამია, რომ ხინოწმინდის საეპისკოპოსოს განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა XVII-XVIII საუკუნეებში, როცა მეზობელ მხარეებში (აჭარა-მაჭახელი, ლაზეთი) ოსმალები გაბატონდნენ. გარდა იმისა, რომ მას უნდა ეკისრა გაზრდილი კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია, ასევე სერიოზული დახმარება უნდა აღმოეჩინა მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი აღმოსავლეთში ჯერ კიდევ მოქმედი კულტურული ცენტრებისთვის (იერუსალიმის ქართულ კოლონია და სხვ.). XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში ეპარქიის ტერიტორია ოსმალეთის ფარგლებში მოექცა, რასაც, საბოლოოდ, მისი გაუქმება მოჰყვა.

ნაშრომში საუბარია, აგრეთვე, ეპარქიაში მოღვაწე სასულიერო პირებზე, რომლებმაც გარკვეული კვალი დატოვეს მის ცხოვრებაში.

<table>
<tr><td>2</td><td>ბიჭიკო დიასამიძე</td><td>საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უწმინდესი სინოდის 2012 წლის 5 ივლისის განჩინების შესახებ;<br><br>ISSN კოდი მიენიჭება</td><td>„საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის-თავისადმი მიძღვნილი ეროვნული კონფერენციის მასალები“</td><td>ქუთაისი, „აკაკი წერეთლის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში წარმოდგენილია განჩინების ის ნაწილი, რომელშიც ნათქვამია, რომ მე-19-20-ე საუკუნეების მანძილზე შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ და დაევალა წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს „გადადგას რეალური დროული და ქმედითი ნაბიჯები... საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისთვის“<br>ამ მიმართულებით გადადგმული ერთ- ერთი ნაბიჯია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მცდელობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიათა ერთიანობის დამტკიცება ადრეფეოდალურ ხანაში იმით, რომ კონსტანტინეპოლის პატრიარქზე VII საუკუნეში დაქვემდებარებული საეპისკოპოსოები (პიტიუნტი, სებასტოპოლისი, ფაზისი, პეტრა და სხვები აქ, დასავლეთ საქართველოში კი არ მდებარეობდნენ, არამედ სამხრეთ შავიზღვისპირეთში - აფსაროსიდან ტრაპიზონის მიმართულებითო. ამით თითქოს პასუხი გაცემულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში ვფიქრობთ, უსაფუძვლოდ გავრცელებულ თეორიაზე „სანამ დასავლეთი საქართველო პოლიტიკურად ბიზანტიის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა, ოფიციალური ეკლესიისა სახელმწიფო კანცელარიის ენის როლს ბერძნული ასრულებდა“.<br>წარმოდგენილ ნაშრომში ნაჩვენებია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის თეორიის ნაკლებ დამაჯერებლობა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებული ზემოთ ხსენებული თეორიის უსაფუძვლობა, რადგან ბიზანტიაზე პოლიტიკური დამოკიდებულება აუცილებლად არ გულისხმობს ბერძნული ენის გაბატონებას ეგრისის საერო და საეკლესიო ცხოვრებაში და ფაქტობრივი მასალის მოტანით დასაბუთებულია, რომ ადრეშუასაუკუნეებში როგორც აღმოსავლეთი ისე დასავლეთი საქართველო ერთიანი ქართული სივრცე იყო ენით და დამწერლობით. ამიტომ ხელოვნურად შექმნილი ჩანს ჩვენს ისტორიგრაფიაში გაბატონებული ზემოთ ხსენებული დებულება და მისგან გამომდინარე ე. წ. ქართიზაციისა და პროზელიტიზმის თეორიები.</td></tr>
<tr><td>3</td><td>ბიჭიკო დიასამიძე</td><td>„ნავთის ქალაქი“ ბათუმში;<br><br>ISSN 1987-8745</td><td>„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერ-თაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), IX,</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუ-მის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსი-ტეტი“,</td><td>გვ. 119-125</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა- ანალიზის საფუძველზე, ნაჩვენებია მე-19-ე საუკუნის 80-იანი წლებიდან ბაქოს ნავთობის უცხოეთში გატანის ძირითად ბაზად გადაქცევისათვის, რუსეთის მთავრობის მიერ შექმნილი ე. წ. ზაბუგინის კომისიის „ნავთის ქალაქის“ პროექტის არსი, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქ ბათუმის შემოგარენში „ნავთის ქალაქის“ გაშენებას, მისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით ( მუშათა საცხოვრებლები, საწყობები,</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">დამხმარე სათავსოები, ცისტერნები...), მაგრამ 900-იანი წლებიდან სახელმწიფოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა და იაფი ამერიკული ნავთობის გამოჩენამ შეაფერხა და შემდეგ შეაჩერა ამ გეგმის განხორციელება.</td></tr>
<tr><td>4</td><td>ნინო ინაი-შვილი (თანაავტორი: ისტ.დოქტ. გიორგი თავამაიშვილი)</td><td>ციხისძირი- კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი<br><br>ISSN 1987-7625<br>ISBN 978-9941-462-86-3</td><td>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწ-იფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიე-რო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიე-რებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-III“</td><td>ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ციხისძირის მიდამოებში აღმოჩენილია არქეოლოგიური ძეგლები გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანიდან გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით. ყველაზე ძველი ფენა ძვ.წ. IX-VII საუკუნეებს განეკუთვნება და შეიცავს ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ კოლხურ კერამიკას (კანელურებიანი ქვევრები, ზოომორფულყურიანი ჭურჭლები), სარიტუალო რქისებრი სადგრების ფრაგმენტებს, თევზსაჭერი ბადის საწაფებს, ხელსაფქვავებს, ნაგებობათა ბათქაშებს და სხვ. მომდევნო ფენა ძვ.წ. VI-V საუკუნეებით თარიღდება და ადგილობრივი კოლხური კერამიკის ფრაგმენტებთან ერთად შეიცავს იმპორტული კერა-მიკის ნიმუშებს. სამოსახლოს განვითარების შემდგომი ეტაპი ელინისტური ეპოქის მასალებითაა წარმოდგენილი: კოლხური ამფორების, იმპორტული კერამიკის, კრამიტები. ზედა ფენა შეიცავდა ახ.წ. VI საუკუნისთვის ტიპიურ არქეოლოგიურ არტეფაქტებს. ციხისძირი დიდხანს ინარჩუნებდა სტრატეგიულ მნიშვნელობას. წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს იმას, რომ ციხის-ძირი, დროის გარკვეულ მონაკვეთში, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტსა და ციხე–ქალაქს წარმოადგენდა.</td></tr>
<tr><td>5</td><td>ოთარ თურმანიძე</td><td>ზეთისხილი ბათუმის ოლქში განვითარების პერსპექტივები საქართველოში;<br><br>ISSN 1967-8785</td><td>„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერ-თაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), IX,</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუ-მის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსი-ტეტი“,</td><td>გვ. 157-166</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>სტატიაში შესწავლილია საქართველოში ზეთისხილის გავრცელებისა და განვითარების ისტორია. აღნიშნულია, რომ საქართველოში ზეთისხილი გავრცელებული იყო უძველესი დროიდან და მის ნაყოფს ძირითადად სამკურნალოდ იყენებდნენ. ზეთისხილმა ფართო სასაქონლო მნიშვნელობა შეიძინა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაბრუნების შემდეგ. ზეთისხილის გავრცელების ძირითადი რაიონი იყო ართვინის მხარე, სადაც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე 100 ათას ძირამდე ზეთისხილი ხარობდა. წლიურად საშუალოდ კრეფდნენ 50-60-ათას ცალ ნაყოფს. მეტი ნაწილი გასაყიდად იგზავნებოდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში და მოსახლეობა მნიშვნელოვან ფულად შემოსავალს იღებდა.<br>რუსეთის მთავრობა დაინტერესებული იყო ზეთისხილის განვითარებით და XIX საუკუნის 90-იან წლებში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა. ართვინის ოკრუგის სოფელ ლომაშენში შეიქმნა ზეთისხილის სანერგე და გაიხსნა ზეთსახდელი ქარხანა. ზეთისხილის ნერგები, კავკასიასთან ერთად, საზღვარგარეთ იყიდებოდა. საგრძნობი გასავალი ჰქონდა ზეითუნის ზეთის კონსერვებსაც. პირველი მსოფლიო ომის დროს ზეთისხილის მეურნეობა დიდად დაზარალდა.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">ოსმალების შემოჭრის შედეგად ზეთისხილის სანერგე და ზეთსახდელი ქარხანა გაანადგურეს, ხოლო მისი გამგე ა. ანდრონაკი მოკლეს.<br>სტატიაში გაშუქებულია საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში ზეთისხილის განვითარების ახალი წამოწყებები. XXI საუკუნის დასაწყისში ზეთისხილის ბაღები მოეწყო ქართლში, კახეთში, გაიხსნა ზეთსახდელი ქარხანაც. საქართველოში ზეთისხილის განვითარების რესურსები არსებობს და მის გამოყენებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.</td></tr>
<tr><td>6</td><td>ოთარ თურმანიძე</td><td>ქურთებისა და ჰემშილების ახალშენები საქართველოში<br><br>ISBN 978-9941-26-983-5</td><td>სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლო-გია), VIII</td><td>თბილისი, გამომც. „უნივერსალი“</td><td>გვ. 5-15</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>საქართველოში ქურთებისა და ჰემშილების ახალშენები XVI-XVIII საუკუნეებში იქმნება და პირველ მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. მათი ახალშენები შექმნილი იყო მესხეთ-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, არტაანის, ოლთისისა და ართვინის მხარეებში.<br>პირველი მსოფლიო ომის წინ საქართველოში ითვლებოდა 699–9 ქურთი. ჰემშილები შედარებით მცირერიცხოვანი იყვნენ. გასაბჭოების შემდეგ ართვინის, ოლთისისა და არტაანის ოკრუგები კვლავ თურქეთმა მიიტაცა. ამის შედეგად შემცირდა საქართველოში მცხოვრები ქურთების რაოდენობა. 1926 წლისათვის საქართველოში 10924 ქურთი ცხოვრობდა. მათი ახალშენები არსებობდა ახალქალაქის, ახალციხის, სიღნაღის მაზრებსა და აჭარაში. ჰემშილები ცხოვრობდნენ ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში.<br>სტატიაში განხილულია ქურთებისა და ჰემშილების სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა და საყოფაცხოვრებო პირობები, განათლებისა და კულტურის მდგომარეობა, ხელისუფლების ღონისძიებანი მათი ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანის, სამედიცინო დახმარების. განათლებისა და კულტურის ამაღლებისათვის. მიუხედავად ამისა, 1944 წელს ქურთები და ჰემშილები საქართველოდან ყაზახეთსა და შუა აზიაში გაასახლეს. რეაბილიტაციის შემდეგ ისინი საქართველოში აღარ დაბრუნებულან.</td></tr>
<tr><td>7</td><td>ოთარ თურმანიძე</td><td>ქობულეთის მუნიცი-პალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება (1921-1990 წწ.)<br><br>ISSN 1512-4991</td><td>ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XIV</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუ-მის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსი-ტეტი“,</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>სტატიაში შესწავლილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება 1921-1940 წლებში დახასიათებულია ბუნებრივ-გეოგრაფიული მდგომარეობა, ტერიტორია, კლიმატური პირობები, ნიადაგები. ნაჩვენებია მათ გამოყენების მასშტაბი და წარმოების განვითარების შედეგები.<br>ქობულეთის მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე შეიქმნა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების (ჩაი, ციტრუსები, ბამბუკი, ტუნგი და სხვა) მეურნეობები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გატარდა აგრარული რეფორმა: განხორციელდა უცხოელი მოახალშენეებისა და ადგილობრივი მემამულეების გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაცია, შეიქმნა სახელმწიფო მეურნეობები და კოლმეურნეობები. სტატიაში მოცემულია ახალი ტიპის მეურნეობების</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დახასიათება.<br>ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები: მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, ტუნგის კულტურა, მეცხოველეობა და სხვა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მოცემულია კონკრეტული მასალები სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების შესახებ.<br>სტატიაში გაშუქებულია მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ქობულეთის მუნიციპალიტეტს პირველი ადგილი ეკავა აჭარის მუნიციპალიტეტებს შორის მრეწველობათა და ტრანსპორტის განვითარების მასშტაბითა და დონით. | | | | | |
| 8 | ოთარ თურმანიძე | უცხოელების ახალშენები საქართველოში;<br><br>ISSN 1987-524X | „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორი-ისა და არქეოლოგიის საკითხები“, III (VIII), | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსი-ტეტი“, | იბეჭდება |
| ანოტაცია<br><br>სტატიაში გაშუქებულია საქართველოში უცხოელების ახალშენების ისტორია, მოცემულია მათი შექმნის მიზეზები, არეალი, დახასიათებულია თანამედროვე მდგომარეობა. საქართველოში უცხოელების ახალშენები იქმნება XVI-XVIII საუკუნეებში და გაგრძელდა XX საუკუნის 90-იან წლებამდე.<br>XVI-XVIII საუკუნეებში იქმნება აზერბაიჯანელების, სომხების, ოსების, ქურთების, ბერძნების ახალშენები. აზერბაიჯანელების, ბერძნების ახალშენები ძირითადად შეიქმნა ქვემო ქართლში, სომხების სამცხე-ჯავახეთში, ოსების–შიდა ქართლში და სხვა რეგიონებში. XIX საუკუნეში იქმნება რუსებისა და გერმანელების ახალშენები. მათი ახალშენები ძირითადად შეიქმნა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში და სხვა რეგიონებში.<br>XIX– XX საუკუნეებში ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა აფხაზეთის კოლონიზაცია. ამ რეგიონში შეიქმნა რუსების, გერმანელების, ბერძნების, სომხების ახალშენები. XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა აფხაზეთის კოლონიზაციის სპეციალური პროგრამა, რომელიც მომდევნო წლებში წარმატებით განხორციელდა. სტატიაში გაშუქებულია საქართველოში უცხოელების ახალშენების მდგომარეობა. დასკვნაში შეჯამებულია კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. | | | | | |
| 9 | უჩა ოქროპირიძე | ლაზურად „ჭანნი“, ნიშნავს „ციურნი“...<br><br>ISSN-0132-6058 | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2 | თბილისი, საქართველოს ს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა | გვ. 136-145; |
| ანოტაცია<br><br>სტატიაში გადმოცემულია ჩვენი მოსაზრებანი კრებულში „ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში“ მოტანილ ზოგიერთ დებულებათა შესახებ და გამოთქმულია მათ შესახებ ის პარალელური აზრები, რომელნიც მათმა გაცნობამ აღძრა: ლაზების ნამდვილი ისტორიული საცხოვრისის, ლაზონას და ლაზთა ეროვნული იდენტობის პრობლემებზე; მსჯელობაა რეგიონში ზანური ელემენტის შესრულებულ როლსა და შორეულ წარსულში პელაზგურ სამყაროსთან მის შესაძლო მჭიდრო კავშირის საკითხებზე. წამოყენებულია შესაბამისი დებულებები და აქედან გამომდინარე გაკეთებულია სათანადო დასკვნები. | | | | | |
| 10 | უჩა | კოლექტიური | კულტურის, ისტორიისა | თბილისი, | გვ. 220-229 |

<table>
<tr><td></td><td>ოქროპირიძე</td><td>მონოგრაფიის „ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში“ რეცენზია;<br><br>ISSN 1512-0694</td><td>და თეორიის საკითხები;<br><br>XXXI</td><td>ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომი წარმოადგენს რეცენზიას ავტორთა კოლექტიურ მონოგრაფიაზე „ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემებში“</td></tr>
<tr><td>11</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>მაჭახლის ხეობაში ჩატარებული კომლექსური ექსპდიციის ანგარიში;<br><br>ISSN 1987-524X</td><td>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები;<br><br>II (VII)</td><td>ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გვ. 191-213</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში გადმოცემულია 2016 წელს ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ მაჭახლის ხეობაში კომპლექსური ექსპედიციის მიერ შესრულებული მუშაობა</td></tr>
<tr><td>12</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>კიდევ ერთხელ „თურქი-მესხების“ პრობლემის შესახებ;<br><br>ISSN 1512-0664</td><td>კულტურის, ისტორიისა და თეორიის საკითხები,<br><br>XXXII</td><td>თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა</td><td>გვ. 88-103</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>სტატია ძირითადად ეყრდნობა ჩვენს მიერ 1991 წლის აგვისტოში ადიგენის რაიონში მოწყობილი ექსპედიციის, 1989 წლების პრესის (გაზეთები: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „თბილისი“, „სამშობლო“, „სოფლის ცხოვრება“ და სხვა) მასალებსა და სხვა პუბლიკაციებს. მასში მოცემულია აღნიშნული პრობლემის თანამედროვე მდგომარეობის ახსნის ცდა და მისგან შესაძლო გამოსავლის გზების ძიება. აღნიშნულია, რომ ამ საკითხში არსებულ უმძიმეს მემკვიდრეობას საუკუნეების განმავლობაში მიზანმიმართულად ქმნიდა ჩვენი სამშობლოს არაკეთილმოსურნე. ამიტომაც გამოსავლის პოვნა და რეალური შედეგის მიღწევა ასევე დიდ დროს, ორივე მხარისაგან უდიდესი მოთმინებით, ურთიერთ თანამშრომლობით მუშაობას მოითხოვს.</td></tr>
<tr><td>13</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>აწმყო, შობილი წარსულისაგან...<br><br>ISSN 1987-5916</td><td>„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები);<br>X</td><td>ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გვ. 415-425</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში ხაზგასმულია ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ ამ მხარეში ქართველი მაჰმადიანი და ქრისტიანი ღვთისმსახურების თუ მრევლის თანადგომა და ღვაწლი ქართული კულტურული და</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">სულიერი ცენტრების ჩამოყალიბების, ეროვნული თვითშეგნების აღორძინების საქმეში. მოთხრობილია 1878 წლის ნოემბერში სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის თბილისსა და ქუთაისში ალექსანდრე (ოქროპირიძე) და გაბრიელ (ქიქოძე) ეპისკოპოსებთან შეხვედრისა და მათგან აუცილებელი სულიერი ნუგეშის მიღების შესახებ; ერთმანეთის მიმართ დიდი პასუხისმგებლობითა და ნდობით გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე, იმ დიდ ბრძოლაზე, რომელიც სამუსლიმანო საქართველოში გაიშალა იქ ქართული სკოლებისა თუ განათლების სხვა ცენტრების ჩამოყალიბებისათვის, რომელსაც სათავეში ედგნენ ახმედ და ჰარუნ ხალვაშები, მოლა დურსუნ ქარცივაძე, მუფთი ჰასან ეფენდი ვერძაძე, გულო აღა კაიკაციშვილი, ჩურუქსუს მეჩეთის მუდირი ისკანდერ ეფენდი ცივაძე, მღვდელი ბენიამინ ღლონტი, მისი ქალიშვილი ქსენია ღლონტი და სხვები. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ამ საქმეში მაშინ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე). აღნიშნულია, რომ ქართული საზოგადოების ამ ღვაწლმა და მონდომებამ თავისი შედეგი გამოიღო და ქართველი მაჰმადიანები თანდათანობით მხარში ამოუდგნენ თავიანთ ქრისტიან თანამოძმეებს.</td></tr>
<tr><td>14</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>ხასან თხილაიშვილი ქობულეთურ-ბათუმურ გადმოცემებსა და ლექსებში;<br><br>ISSN 1987-8745</td><td>“ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა” (საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები); IX</td><td>ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გვ. 220-226</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>სტატიაში მოცემულია 2017 წლის ივლის-აგვისტოში ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული ექსპედიციის დროს მოპოვებული იმ მასალების ანალიზის შედეგები, რომლებიც ხასან თხილაიშვილსა და მისი პიროვნების გარშემო რეგიონში შემორჩენილ ხალხურ გადმოცემებსა და ლექსებში აისახა. წარმოჩენილია ხალხის ხსოვნაში შემორჩენილი ის ფოლკლორული ნიმუშები, რომლებიც აღნიშნულ პიროვნებას გმირის შარავანდედით მოსავს, ხოლო მომავალ თაობებს პატრიოტული გრძნობით აღავსებს.</td></tr>
<tr><td>15</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>გურამ ლორთქიფანიძე, ბათუმური ფენომენი;<br><br>ISBN 978-9941-13-752-5</td><td>სიძველეების დაუღალავი მკვლევარი, გურამ ლორთქიფანიძე - 80</td><td>თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა</td><td>გვ. 47-48</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>კრებულში გამოქვეყნებული წერილი „გურამ ლორთქიფანიძე, ბათუმური ფენომენი“ ეძღვნება გურამ ლორთქიფანიძის 80 წლის იუბილეს.</td></tr>
<tr><td>16</td><td>უჩა ოქროპირიძე</td><td>მეგობრის ხსოვნას - გახსენება;<br><br>ISSN 1987-524X</td><td>სამხრეთ-დასვლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები; II (VII)</td><td>ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გვ. 228-230</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>წერილი ეძღვნება ჩვენი კოლეგის, ცნობილი მეცნიერის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ყოფილი უფროსი მეცნიერი თანამშრომელს, ისტორიის</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დოქტორის სიმონ გოგიტიძის გარდაცვალებიდან ორი წლისთავს. | | | | | |
| 17 | უჩა ოქროპირიძე | „საქართველოს ისტორიის საკითხები ოთხტომეულში ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში";<br><br>ISBN 978-9941-13-784-6 | კულტურულ-საისტორიო ძიებანი;<br>II | თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა | გვ. 163-174 |
| ანოტაცია<br><br>სტატია „საქართველოს ისტორიის საკითხები ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში", წარმოადგენს აღნიშნულ ოთხტომეულში საქართველოს ისტორიის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების ხედვისა და მათზე ჩვენეული თანამედროვე თვალსაზრისის წარმოჩენის ცდას. | | | | | |
| 18 | უჩა ოქროპირიძე | ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის უნივერსალური მსაზღვრელებისათვის;<br><br>ISSN მიენიჭება | „ძიებანი" (პროფესორ გიორგი (გელა) საითიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული) | თბილისი | იბეჭდება |
| ანოტაცია<br><br>სტატიაში „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის უნივერსალური მსაზღვრელებისათვის" მოცემულია ოთხტომეულის მეოთხე ტომში სხვადასხვა ავტორთა მიერ ისეთ უნივერსალურ მსაზღვრელებზე, როგორიცა: აზრი, აზროვნება, შემეცნება, ჭეშმარიტება, ისტორიის საზრისი, ერი და ეროვნება, სამშობლო, სიკვდილი და სხვა, თვალსაზრისთა განხილვა და ისტორიკოსის თვალით დანახული მათი გააზრება, ამ ფონზე წარმოჩენილია მსოფლიო ისტორიაში მიმდინარე პროცესთა ჩვენეული ხედვა თითქმის უძველესი პერიოდიდან დღემდე. | | | | | |
| 19 | გიორგი თავამაიშვილი | მონეტა დაკრძალვის უძველეს რიტუალში<br><br>ISSN 1987-7625<br>ISBN 978-9941-462-86-3 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშო-რისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტა-რული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-III" | ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" | იბეჭდება |
| ანოტაცია<br><br>არქაული საზოგადოების რწმენა-წარმოდგენების გააზრებისთვის საინტერესო უბანს ძველი სამაროვნები და აქ დადასტურებული დაკრძალვის რიტუალი წარმოადგენს. სამარხებში მიკვლეული ინვენტარი მრავალგვაროვანია, მაგრამ, ყურადღებას ვამახვილებთ ნუმიზმატიკურ მასალაზე, რომელთა სამარხებში აღმოჩენა გარდაცვლილთათვის ფულის ჩაყოლების ტრადიციის არსებობაზე მიუნიშნებს. მოხსენებაში აქცენტი კეთდება თუ სად და როდის ჩაისახა მიცვალებულთათვის სამარხში მონეტე-ბის/ფულის ჩაყოლების პრაქტიკა და რა მსოფლმხედველობრივი რწმენა-წარმოდგენებით იყო ნასაზრდ-ოები ეს წესი. თემის გარშემო საუბარიაარსებული წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მონაცემ- | | | | | |

ების ურთიერთმიმართების შესახებ, აღნიშნული წესის ლოკალურ თავისებურებებზე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკურ სამაროვნებზე მიკვლეულ შესატყვის მასალაზე.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20 | გიორგი თავამაიშვილი (თანაავტორი: ისტ.დოქტ. ნინო ინაი-შვილი) | ციხისძირი-კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი<br><br>ISSN 1987-7625<br>ISBN 978-9941-462-86-3 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშო-რისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტა-რული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-III“ | ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | იბეჭდება |

ანოტაცია

ციხისძირის მიდამოებში აღმოჩენილია არქეოლოგიური ძეგლები გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანიდან გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით. ყველაზე ძველი ფენა ძვ.წ. IX-VII საუკუნეებს განეკუთვნება და შეიცავს ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ კოლხურ კერამიკას (კანელურებიანი ქვევრები, ზოომორფულყურიანი ჭურჭლები), სარიტუალო რქისებრი სადგრების ფრაგმენტებს, თევზსაჭერი ბადის საწაფებს, ხელსაფქვავებს, ნაგებობათა ბათქაშებს და სხვ. მომდევნო ფენა ძვ.წ. VI-V საუკუნეებით თარიღდება და ადგილობრივი კოლხური კერამიკის ფრაგმენტებთან ერთად შეიცავს იმპორტული კერა-მიკის ნიმუშებს. სამოსახლოს განვითარების შემდგომი ეტაპი ელინისტური ეპოქის მასალებითაა წარმოდგენილი: კოლხური ამფორების, იმპორტული კერამიკის, კრამიტები. ზედა ფენა შეიცავდა ახ.წ. VI საუკუნისთვის ტიპიურ არქეოლოგიურ არტეფაქტებს. ციხისძირი დიდხანს ინარჩუნებდა სტრატეგიულ მნიშვნელობას. წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს იმას, რომ ციხის-ძირი, დროის გარკვეულ მონაკვეთში, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტსა და ციხე–ქალაქს წარმოადგენდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21 | მაია ჭიჭილეიშვილი | საბჭოთა პერიოდის ერთი ელიტარული სახლის შესახებ ბათუმი<br><br>ISSN 1987-8745 | “ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა” (საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები); IX | ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გვ. 278-288 |

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია გასული საუკუნის 40-იან წლებში ბათუმში ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თანამშრომელთათვის აგებული ელიტარული საცხოვრებელი სახლის არქიტექტურა. მ. აბაშიძისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კუთხეში მდებარე ოთხსართულიანი სახლი, გასული საუკუნის 30-იან წლებში აგებულ სახლებთან შედარებით წარმოადგენდა საცხოვრებლის გაუმჯობესებულ ვარიანტს, რაც სახელმწიფო მოხელეთათვის კონფორტული პირობების შექმნის სურვილით იყო განპირობებული. გასული საუკუნის 30-იანი წლების დასასრულსა და 40-იანი წლების დასაწყისში აშენებული შენობა განსაზღვრავს უბნის მასშტაბს და განაშენიანების ხასიათს, მხატვრული სტილის თვალსაზრისით ავლენს პოსტკონსტრუქტივიზმის ნიშნებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22 | მაია ჭიჭილეიშვილი | ხალხური ხითხუროობის ტრადიციები აჭარაში<br><br>ISSN მიენიჭება | საქართველოს სიძველენი | თბილისი, გ. ჩუბინაშვი-ლის სახ. ქართ. ხელ. ისტორი-ისა და დაცვის | იბეჭდება |

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>ეროვნული კვლევითი ცენტრი</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში განხილულია აჭარის ხალხური ხითხუროობის ტრადიციები, დასახლების ფორმები, ხითხუროობის ნიმუშები - საცხოვრებელი სახლების ტიპები და სპეციფიკური თავისებურებანი, საცხოვრებელ სახლებსა და ხის მეჩეთებში წარმოდგენილი მხატვრული ელემენტები. საცხოვრებლებსა და საკულტო შენობებში გამოყენებული ფორმების მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა, მხატვრული დეტალების სემანტიკა უძველეს წარსულში იღებს სათავეს და ავლენს ქართული ტრადიციების მდგრადობას.</td></tr>
<tr><td>23</td><td>ოლეგ ჯიბაშვილი (თანაავტორი: ისტ.მეცნ.დოქტ. ბიჭიკო დიასამიძე)</td><td>ხინოწმინდის ეპარქია;<br><br>ISSN 1987-5916</td><td>„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X</td><td>გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი,</td><td>გვ. 227-239</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში არქეოლოგიურ და წერილობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით გაშუქებულია ხინოწმინდის საეპისკოპოსოს ისტორია, ამასთან, ნაჩვენებია საეპისკოპოსოს შესწავლასთან დაკავშირებით დღეისათვის არსებული ვითარებაც.<br>უახლეს არქეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხინოს საეპისკოპოსო X-XI საუკუნეებში უნდა დაარსებულიყო.<br>ნაჩვენებია საუკუნეების მანძილზე ხინოს ეპარქიაში ფართოდ გაშლილი სამწიგნობრო-საგანმანათლებლო საქმიანობა, ეპარქიის მნიშვნელობა, ზოგადად, ქრისტიანული საქართველოსათვის. ნათქვამია, რომ ხინოწმინდის საეპისკოპოსოს განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა XVII-XVIII საუკუნეებში, როცა მეზობელ მხარეებში (აჭარა-მაჭახელი, ლაზეთი) ოსმალები გაბატონდნენ. გარდა იმისა, რომ მას უნდა ეკისრა გაზრდილი კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია, ასევე სერიოზული დახმარება უნდა აღმოეჩინა მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფი აღმოსავლეთში ჯერ კიდევ მოქმედი კულტურული ცენტრებისთვის (იერუსალიმის ქართულ კოლონია და სხვ.). XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში ეპარქიის ტერიტორია ოსმალეთის ფარგლებში მოექცა, რასაც, საბოლოოდ, მისი გაუქმება მოჰყვა.<br>ნაშრომში საუბარია, აგრეთვე, ეპარქიაში მოღვაწე სასულიერო პირებზე, რომლებმაც გარკვეული კვალი დატოვეს მის ცხოვრებაში.</td></tr>
<tr><td>24</td><td>ოლეგ ჯიბაშვილი</td><td>ქართლ-კახეთის სამეფოს დემოგ-რაფიული მდგო-მარეობა XVIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისისათვის;<br><br>ISSN კოდი მიენიჭება</td><td>„საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლის-თავისადმი მიძღვნილი ეროვნული კონფერენციის მასალები“;</td><td>„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ქუთაისი</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>XVIII საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე ქართლ-კახეთის სამეფო ამიერკავკასიაში აშკარა ჰეგემონობას ფლობდა. ამ დროისათვის სამეფოს ერთპიროვნული მმართველობის სადავეები ერეკლე მეფის ხელში იყო მოქცეული.<br>ქართლ-კახეთის დაწინაურება განაპირობა 1750-60-იან წლებში გატარებულმა სამხედრო-</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ღონისძიებებმა. მართალია, აღნიშნულ ღონისძიებათა წარმატება, მნიშვნელოვანწილად, აღმოსავლეთ საქართველოს ირგვლივ შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამაც განსაზღვრა, მაგრამ გადამწყვეტი როლი ქვეყნის მოსახლეობამ, განსაკუთრებით კი მისმა დომინირებულმა ნაწილმა – ქართველობამ ითამაშა. ქართლ-კახეთის მეფეები სწორედ მათ პოტენციალს ეყრდნობოდნენ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.<br>ნაშრომში, დოკუმენტური წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების ურთიერთ-შეჯერების საფუძველზე, გაანალიზებულია ქართლ-კახეთის სამეფოს დემოგრაფიული მდგომარეობა XVIII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისისათვის. მონაცემები გაშუქებულია რეგიონში არსებული საერთო-დემოგრაფიული ვითარების ფონზე.<br>ასევე, ნაშრომში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო პოტენციალის შეფასებას მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან მიმართებაში.</td></tr>
<tr><td>25</td><td>ოლეგ ჯიბაშვილი</td><td>საბრძოლო მოქმე-დებები ქობულეთ-ბათუმის მიმართუ-ლებით რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში;<br><br>ISSN 1987-8745</td><td>„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშო-რისო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასალები), IX,</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუ-მის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გვ. 300-310</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ომის შედეგად რუსეთის იმპერიამ ოსმალთაგან გაათავისუფლა და შეიერთა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს პროვინციების დიდი ნაწილი. აქამდე დაქსაქსულმა ქართულმა მიწებმა ერთ პოლიტიკურ სივრცეში მოიყარა თავი და მიუხედავად რუსული პოლიტიკის რეალური მიზნებისა, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შეიქმნა ხელსაყრელი წინაპირობები ერთიანი ეროვნული სხეულის აღსადგენად.<br>ნაშრომში საისტორიო წყაროებსა (მათ შორის რუსულ) და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით განხილულია ქობულეთ-ბათუმის მიმართულებით მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები და ადგილობრივი მოსახლეობის როლი და ადგილი მათში, აგრეთვე, თურქული მხარის მიერ ბათუმის გადაცემა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის.</td></tr>
<tr><td>26</td><td>ოლეგ ჯიბაშვილი</td><td>XIX საუკუნის კლარჯეთის ისტორიიდან;<br><br>ISSN 1987-524X</td><td>„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“, III (VIII)</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხის – კლარჯეთის ეთნო-რელიგიური მდგომარეობა XIX საუკუნეში. ეს კუთხე დიდი ხნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში იმყოფებოდა, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ კი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ნაჩვენებია, რომ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ანტი-ქართული პოლიტიკა უარყოფითად აისახა კლარჯეთის ქართულ მოსახლეობაზე. XIX საუკუნის ბოლოსათვის აქაური მოსახლეობა გამაჰმადიანებული იყო, ხოლო მის დიდ ნაწილში ქართული ენა ჩანაცვლებული იყო თურქული ენით.</td></tr>
<tr><td>27</td><td>ოლეგ ჯიბაშვილი (თანაავტორი:</td><td>ბსუ-ს ნიკო ბერძენი-შვილის ინსტიტუ-ტის ისტორიისა და</td><td>„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“, III (VIII)</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა</td><td>იბეჭდება</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td>ისტ.მეცნ.დოქტ. ბიჭიკო დიასამიძე)</td><td>არქეოლოგიის განყოფილების 2017 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში;<br><br>ISSN 1987-524X</td><td></td><td>რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ანგარიშში გაანალიზებული და შეჯამებულია ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, საგამომცემლო საქმიანობა და სხვა აქტივობები</td></tr>
<tr><td>28</td><td>ოლეგ ჯიბაშვილი</td><td>რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან;<br><br>ISSN კოდი მიენიჭება</td><td>„ძიებანი“ (პროფესორ გიორგი (გელა) საითიძის 80 წლის-თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული)</td><td>თბილისი</td><td>მზადდება გამოსაცემად</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში რუსეთის საიმპერატორო კარზე მომწიფდა სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრების საკითხი. ამ მიმართულებით გააქტიურების შედეგად, 1783 წლის 24 ივლისს რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი. საქართველო რუსეთის გავლენის სფეროში მოექცა.<br>ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მოვლენების განვითარების კვალობაზე უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა თერგ-არაგვის გზამ (საქართველოს სამხედრო გზა), როგორც ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის დამაკავშირებელმა უმთავრესმა არტერიამ. რუსული მხარე სრული კონტროლის დაწესებას ცდილობდა მასზე. ამ მოსაზრებით იგი არა თუ კონკურენტად მოაზრებული ევროპელების, თვით ქართლ-კახეთის სამეფო კარის საქმიანობასაც ზღუდავდა ამ რაიონში. ეს ტენდენცია ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატამდე გახდა თვალშისაცემი.<br>სათანადო წყაროების შეჯერება-ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ თერგ-არაგვის გზაზე სრული კონტროლის დაწესებას რუსეთი პოლიტიკური ქორწინების საშუალებითაც შეეცადა. კერძოდ, 1785 წელს ქართლ-კახეთის ელჩის, გარსევან ჭავჭავაძის პირით გაახმოვანა გრიგოლ პოტიომკინისა და ერეკლე მეფის ასულის – ანასტასიას შეუღლების იდეა. ქორწინების შედეგად პოტიომკინს (ანუ რუსეთს) მზითევის სახით ხევი და საარაგვო უნდა გადასცემოდა. ეს იყო ქართლ-კახეთში შემოსასვლელი დერეფნის ხელში ჩაგდების აშკარა მცდელობა, რაც იმ ხანებში რუსულმა მხარემ ვერ განახორციელა.</td></tr>
<tr><td>29</td><td>ირინე ვარშალომიძე (თანაავტორი: ნინო ძნელაძე)</td><td>ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული რუსუდან დედოფლის მონეტები;<br><br>ISSN 1987-8745</td><td>„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშო-რისო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასალები), IX</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუ-მის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გვ. 134-141</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">სტატიაში შესწავლილია ხარიტონ ახცვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული რუსუდან დედოფლის სახელით მოჭრილი მონეტები. მოცემულია მონეტების აღწერილობა, წონისა და ზომის პარამეტრები, დადგენილია ემისიის დრო და ადგილი. განხილულია სინქრონული ხანის ნუმიზმატიკური მასალა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, მოზიდულია პარალელები, გამოკვლეულია ამ დროის ფულადი მიმოქცევის თავისებურებანი ჩვენს რეგიონში. ხაზი გასმულია ქართული ფულის მიმოქცევის ხასიათზე. შესწავლილია აღნიშნული მონეტების აღმოჩენის  ადგილები და გარემოებები  . გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.</td></tr>
<tr><td>30</td><td>ირინე ვარშალომიძე (თანაავტორი: ნინო ძნელაძე)</td><td>ხარიტონ ახვლე-დიანის სახელობის მუზეუმში დაცული გიორგი III -ის მონეტები<br><br>ISSN 2298-0776</td><td>„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია  და  ეთნოლოგია“ (სართაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული);<br><br>VIII</td><td>თბილისი,<br><br>გამომც. ,,უნივერსალი“</td><td>გვ. 142-151</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>სტატიაში შესწავლილია ხარიტონ ახვლედიანის აჭარის მუზეუმში დაცული გიორგი III -ის სახელით მოჭრილი მონეტები. მოცემულია მონეტების აღწერილობა, წონისა და ზომის პარამეტრები, დადგენილია ემისიის დრო და ადგილი. განხილულია სინქრონული ხანის ნუმიზმატიკური მასალა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, მოზიდულია პარალელები, გამოკვლეულია ამ დროის ფულადი მიმოქცევის თავისებურებანი ჩვენს რეგიონში. ხაზი გასმულია ქართული ფულის მიმოქცევის ხასიათზე. შესწავლილია აღნიშნული მონეტების აღმოჩენის  ადგილები და გარემოებები  . გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.</td></tr>
<tr><td>31</td><td>ირინე ვარშალომიძე (თანაავტორი: ნინო ძნელაძე)</td><td>პანტიკაპეონის მონეტა ბათუმიდან<br><br>ISSN 1987-7625<br>ISBN 978-9941-462-86-3</td><td>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტა-რული მეცნიერებები ინფორ-მაციულ საზოგადოებაში-III“</td><td>ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>სტატიაში შესწავლილია ბათუმში შემთხვევით აღმოჩენილი ბოსფორის სამეფოს ქალაქ პანტიკაპეონში მოჭრილი I  საუკუნის მონეტა.  მოცემულია მონეტის აღწერილობა, ემისიის დრო და ადგილი, მეტროლოგოური და ზომის პარამეტრები დადგენილია. ახსნილია სამონეტო ტიპის თემატიკა, მონეტის უნიკალურობა, განხილულია აღმოსავლეთ შავისღვისპირეთის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ხასიათი. მოზიდულია მსგავსი ნუმიზმატიკური პარალელები. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები</td></tr>
<tr><td>32</td><td>ირინე ვარშალომიძე</td><td>თამარ მეფის მონეტები ციხისძირიდან;<br><br>ISSN 1987-524X</td><td>„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები“, III (VIII)</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო</td><td>იბეჭდება</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td><td>უნივერსიტეტი“</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში განხილულია ციხისძირში 1948 წელს შემთხვევით აღმოჩენილი თამარ მეფის სახელით მოჭრილი 2 სპილენძის მონეტა. რომლებიც ინახება ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში. მოცემულია ციხისძირის სინქრონული ისტორია, არტეფაქტები, ნუმიზმატიკური ძეგლები. როგორც ჩანს, საკვლევი ძეგლი განვითარებული შუასაუკუნეებისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს. სადაც მიმოიქცეოდა როგორც ქართული, ისე უცხოური მონეტები. ციხისძირი ჩვენს რეგიონში ერთადერთი ძეგლია, სადაც ქართველი მონარქების სახელით მოჭრილი მონეტებია გამოვლენილი.</td></tr>
<tr><td>33</td><td>სულხან მამულაძე</td><td>ჭრაქები გონიო აფსაროსიდან უახლესი აღმოჩენების მიხედვით;<br><br>ISSN 2298-0776</td><td>„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია“ (სართაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული);<br><br>VIII</td><td>თბილისი, გამომც. „უნივერსალი”</td><td>გვ. 373-382</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>სტატიაში წარმოდგენილი და განხილულია ჭრაქების წარმომავლობა, მათი დამზადების ტექნოლოგია და რომაულ ეპოქაში არსებული ის ძირითადი საწარმოო ცენტრები, საიდანაც ხდებოდა აღნიშნული პროდუქციის იმპორტი. ბოლო წლებში ჭრაქების ძალზე დიდ რაოდენობას იქნა მიკვლეული გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე, რომელთა იდენტიფიცირება და მათი საწარმოო ცენტრების დადგენა დღემდე ვერ მოხერხდა. განსაკუთრებით საინტერესოა წითელლაკიანი ჭრაქები, რომლებიც როგორც ჩვენს მიერ იქნა გარკვეული, პერგამონსა და კუნძულ სამოსზე მზადდებოდა.</td></tr>
<tr><td>34</td><td>სულხან მამულაძე (თანაავტორი)</td><td>გუმუშხანეს (ხალ-დიის) საფორტიფი-კაციო ნაგებობანი - ჯანჯას ციხე;<br><br>ISSN 2298-0776</td><td>„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია“ (სართაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული);<br><br>VIII</td><td>თბილისი, გამომც. „უნივერსალი”</td><td>გვ. 367 - 373</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>მოცემულ სამეცნიერო ნაშრომში წარმოდგენილია გუმუშხანეს (ხალდიის) საფორტიფიკაციო ნაგებობანი, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ჯანჯას ციხე, რომელიც მდებარეობს მაღალ კლდოვან ბორცვზე, გუმუშჰანედან 2 კილომეტრის მოშორებით, მდინარე ხარშიტის ხეობაში. ციხე-სიმაგრე სამივე მხრიდან დაცულია ბუნებრივად, ისე რომ კლდის საძირკველი პირდაპირ კლდეზეა დაშენებული. სტატიაში ასევე განხილულია რეგიონში მდებარე სხვა ციხე-სიმაგრეებიც, რომლებიც ერთიანობაში ქმნიდნენ ერთიან დამცავ სისტემას.</td></tr>
<tr><td>35</td><td>სულხან მამულაძე</td><td>ტრაპიზონიდან ბაიბურთ-ერზრუ-</td><td>„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია,</td><td>თბილისი, გამომც.</td><td>გვ. 330-345</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td>(თანაავტორი)</td><td>მისაკენ მიმავალი ძველი გზები და ზოგიერთი საფორ-ტიფიკაციო ნაგე-ბობანი (თორული, ქეჩიკალე);<br><br>ISSN 2298-0776</td><td>არქეოლოგია და ეთნოლოგია“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული);<br><br>VIII</td><td>„უნივერსალი”</td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია ტრაპიზონიდან ბაიბურთ-ერზრუმისაკენ მიმავალი ძველი გზები და ზოგიერთი საფორტიფიკაციო ნაგებობანი. ირკვევა, რომ მოცემული ძველი გზები ძალზე მნიშვნელოვანი იყო კლასიკურ და განსაკუთრებით რომაულ პერიოდში. აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული გზების მუდმივი კონტროლისათვის აგებულ იქნა მთელი რიგი საფორტიფიკაციო ნაგებობანი, რომელთა დიდმა ნაწილმა დღემდეც მოაღწია.</td></tr>
<tr><td>36</td><td>ნოდარ კახიძე</td><td>მეურნეობის ტრა-დიციული დარგები და სამეურნეო ყოფა ქობულეთის მუნიციპალიტეტში.<br>ISSN 1512-4991</td><td>ნიკო ბერძენიშვილის ინტიტუტის შრომები, XIV</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გადაცემულია დასაბეჭდად</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>არქეოლოგიური და შესაბამისი ლიტერატურის მონაცემების, ძირითადად კი საექსპედიციო მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, სტატიაში შესწავლილია მეურნეობის ტრადიციული დარგები და სამეურნეო ყოფის საკითხები ქობულეთის მუნიციპალიტეტში. არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდ-ნობით მითითებულია, რომ ქობულეთის რაიონის ტერიტორიაზე მოსახლე ადამიანი ადრებრინჯაოს ხანიდან იცნობდა ზოგიერთი სახის მარცვლეულის (კერძოდ ხორბლის) მოყვანას, რაც განვითარებას პოულობს ნეოლითურ ხანაში. ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე კი დადგინდა, რომ რეგიონის მოსახლეობა აქტიურ სამეურნეო ცხოვრებას ეწეოდა. მოჰყავდათ მარცვლეულის ადრინდელი კულტურები (ფეტვი, ღომი, ხორბალი, ქერი, ჭვავი, მოგვიანებით სარწყავი ბრინჯი), რომლებიც წამყვან როლს თამაშობდნენ სიმინდის კულტურის მასობრივად გავრცელებამდე ანუ XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. იმავე ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დახასიათებულია მევენახეობა–მეღვინეობის, მეხილეობის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობის, მეთევზეობის ტრადიციები, ამ დარგებთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, შრომის იარაღები, ტოპონიმიკური მონაცემები, ხალხური წეს–ჩვეულებები.</td></tr>
<tr><td>37</td><td>ნოდარ კახიძე</td><td>ქვის საცეხველები მაჭახლის ხეობაში.<br>ISSN 1987-5274</td><td>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, V</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>გადაცემულია დასაბეჭდად</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში შესაბამისი ლიტერატურისა და ძირითადად მაჭახლის ხეობაში შეკრებილი ეთნოგრა-ფიული მასალების საფუძველზე შესწავლილია მაჭახლის ხეობაში გავრცელებული ქვის საცეხველები, მათი დამზადებისა და გამოყენების ხალხური ცოდნა-ჩვევები. დადგენილია, რომ ხეობაში ტრადიციულად გავრცელებული იყო ფეხისა და ხელის საცეხველები, რომელთა ძირითადი ფუნქცია იყო ღომისა და ხორბლის გაცეხვა, ასევე ხილის დაჟეჟვა-დანაყვა, რომლის წვენისგან მზადდებოდა ყოველწლიურად მოსახმარი კერძი ბექმეზი. სტატიაში საუბარია საცეხველთან და ცეხვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომლებიც პარალელებს პოულობს დღეს თურქეთის</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">საზღვრებში მოქცეული მაჭახლის ხეობის მეზობელ კუთხეთა (შავშეთ-იმერხევი, ლიგანის ხეობა) შესაბამს წეს-ჩვეულებებთან.<br>მაჭახლის ხეობაში მასობრივად გავრცელებული ქვის საცეხველების ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) შესწავლა მხარს უჭერს ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში (გიორგი ჩიტაია, ალექსი რობაქიძე) გამოთქმულ არგუმენტირებულ მოსაზრებას ქვის საცეხველების ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში წარმოშობის შესახებ, რომელიც უარყოფს ინდოევროპულ თეორიას ქვის საცეხველების საქართველოსა და კავკასიაში სესხების გზით შემოტანილ კულტურის ელემენტზე.</td></tr>
<tr><td>38</td><td>თამილა ლომთათიძე</td><td>ხის თაყვანისცემის ელემენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოკულტურაში<br>ISSN 2298-0776</td><td>„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია“ (სართაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული); VIII</td><td>თბილისი, „უნივერსალი“</td><td>303-314</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>ნაშრომში შესწავლილია ხის საკრალიზაციის ელემენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში. მიმოხილულია ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში ფართოდ გავრცელებულ ამ სახე-სიმბოლოსთან დაკავშირებული გადმოცემები, რიტუალები, წეს-ჩვეულებები. შესწავლილია ხესთან, როგორც სიცოცხლის ხის არქეტიპთან და სამყაროს გამაერთიანებელ ვერტიკალურ ღერძთან დაკავშირებული წარმოდგენები, სიმბოლოები, ისეთი რიტუალები, როგორიცაა „ცხემლის ჭრა“, საკრალურ ხის ფენომენი ქრისტიანობაში, როგორც ცალკეული ჯიშის ხეებთან, ასევე ნაკრძალ ტყეებსა და კორომებთან დაკავშირებული ხის კულტმსახურების ელემენტები, ბრძნილობები და აკრძალვები, გარკვეული ჯიშის ხეების ხალხურ მედიცინაში გამოყენების ტრადიციები. გაკეთებულია დასკვნები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხის საკრალიზაციისა და თაყვანისცემის ელემენტებზე, რომლებიც, ასახავს ქართველთა უძველეს შეხედულებებს ხის, როგორც სიცოცხლის, ნაყოფიერების, განახლების, კეთილდღეობის ძალის მქონე ერთ-ერთ უმთავრესი არქეტიპის შესახებ.</td></tr>
<tr><td>39</td><td>თამილა ლომთათიძე</td><td>ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სულიერი კულტურა<br>ISSN 1512-4991</td><td>ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XIV</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში შესწავლილია რეგიონის მოსახლეობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა: ისტორიულ მეხსიერებაში შემონახული რწმენა წარმოდგენები და ყოფაში დაცული წეს-ჩვეულებები (ალილობა, ახალი წლის ციკლის რიტუალები, „ცხემლის ჭრა, ქათმის და საქონლის ფერხვა, გზობა, ფერისცვალება, საღმრთოს გაღება და სხვ.), საოჯახო ყოფისათვის დამახასიათებელი რიტუალები (სადილის მიტანა, დატირება, საოჯახო მედიცინა, სამზარეულო, შელოცვები და სხვ.), ქობულეთის მუსიკალური ფოლკლორი თავისებურებები, ყოფაში დამკვიდრებული ახალი საყოველთაო დღესასწაულები (ქობულეთობა, ჩაქვისთავლობა, ზურაბობა). დახასიათებულია მუნიციპალიტეტის სულიერი კულტურისათვის დამახასიათებელი ლოკალური თავისებურებები, მათი გამომწვევი მიზეზები, მოცემულია წეს-ჩვეულებებში შემონახული, ყოფის ისტორიული ტრანსფორმაციით გამოწვეული რელიგიური დანაშრევები (წინარექრისტიანული, ქრისტიანული, მუსლიმანური) და მოცემულია მათი დიფერენციაციის ცდა.</td></tr>
<tr><td>40</td><td>თამილა ლომთათიძე</td><td>ეთნოეკოლოგიის ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე პრობლემები</td><td>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, VI</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td></td><td>ISSN 1987-5274</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში მიმოხილულია გარემოსთან ადაპტაციის ტრადიციული მექანიზმები, გარემო ფაქტორებთან შეგუების, გარემო პირობების მაქსიმალურად გამოყენების ოპტიმალური სტრატეგიები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში უყალიბდებოდა აჭარის მოსახლეობას. დახასიათებულია ის გარემოებები, რომელსაც მიმართავდნენ მცირემიწიანობის პირობებში მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისა და მიწათმოქმედების რაციონალური წარმოებისათვის მიმართავდნენ მთელ რიგ ღონისძიებებს, როგორიცაა: ახოს აღება, დიდი ხნით ნამუშევარი მიწების დასვენება, მინდვრის კულტურათა მონაცვლეობით და შერევით თესვა, მიწების განოყიერება-მორწყვა, ნიადაგების ხარისხიანი დამუშავების და დაცვის პრაქტიკული ხერხები და საშუალებები, ადგილობრივი ბუნებრივ-სამეურნეო პირობების პრაქტიკული ცოდნა და მისი გათვალისწინება. მაგრამ ბუნების დაცვის დახვეწილი მამა-პაპური ტრადიციები თანდათან დავიწყებას მიეცა და შეიქმნა არა მხოლოდ სამეურნეო დისკომფორტი, არამედ ეკოლოგიური პრობლემებიც. ადამიანსა და ბუნებას შორის ბალანსის დარღვევის გამო შეიქმნა ბუნებრივი და სამეურნეო კატასტროფების საშიშროება. სტატიაში დასაბუთებულია იმ გამოცდილების შესწავლისა და გაზიარების აუცილებლობა, რაც ქართველ მეურნეს საუკუნეების განმავლობაში დაუგროვდა. ამ მიმართულებით კვლევას შემეცნებითთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ასეთ კვლევებს შეუძლია გადაარჩინოს ბუნების დაცვის უძველესი წესები, მამა-პაპური ტრადიციები, შეიმუშავოს ეკოლოგიური ალტერნატივა, წამოჭრას ეკოლოგიური პრობლემები და გააკეთოს მათი პრაქტიკული გადაწყვეტის პროგნოზი. ანთროპოეკოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით მოცემულია რეკომენდაციები ნიადაგის დაცვის ტრადიციული ხერხების აღდგენის, სავარგულების სწორი ექსპლუატაციის, მშენებლობის ტრადიციული ეკოლოგიური ცოდნისა და კულტურის, გზებისა და ხიდების მშენებლობის ხალხური გამოცდილების გათვალისწინებით.</td></tr>
<tr><td>41</td><td>ჯემალ მიქელაძე</td><td>საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი შავშეთ–იმერხევსა და ტაოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)<br>ISSN 1987-5274</td><td>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, VI</td><td>ქალაქი ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში ძირითადად ავტორის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით შესწავლილია შავშეთ–იმერხევსა და ტაოში გავრცელებული ქვისა და ხის ძველი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი. აღწერილია მათი მშენებლობის ხალხური ხერხები, საცხოვრებელი სახლის სეგმენტაციისა და თითოეული მათგანის ფუნქციონალური დანიშნულება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ორ–სამ საუკუნოვან სახლებზე, მათ შორის კოშკურ სახლებზე, რაც რეგიონისათვის ნიშანდობლივადაა მიჩნეული. სამეურნეო ნაგებობებიდან დახასიათებულია წისქვილები და ნატიფად ნაშენი ნალიები. ნაჩვენებია ის ცვლილებები, რაც მოხდა თანამედროვე პერიოდის სახლთმშენებლობაში.<br>ნაშრომს ერთვის ავტორისეული ილუსტრაციები, რაც ვიზუალურადაც სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის მკითხველს.</td></tr>
<tr><td>42</td><td>ნაილა ჩელებაძე</td><td>განათლება და კულტურა ქობულეთის მუნიციპალიტეტში<br>ISSN 1512-4991</td><td>ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XIV</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>ნაშრომში დახასიათებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი როლი ქართული კულტურული მემკვიდრეობის განვითარების საქმეში. რეგიონში ოსმალეთის ბატონობის ეპოქაში შეჩერებული რეგიონის კულტურული განვითარება ქართველ მოღვაწეთა დიდი ძალისხმევით აღორძინდა. პირველი სკოლები გაიხსნა გულო კაიკაციშვილის, დედე ნიჟარაძისა და სხვათა დიდი შემოწირულობებითა და მხარდაჭერით. ამ პროცესის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა მიერ დაარსებულმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად რეგიონში დაიწყო წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია, სამკითხველო ქსელის გაფართოება, კულტურული ქსელების ჩამოყალიბება და ა.შ.<br>ქობულეთის მუნიციპალიტეტში განათლებისა და კულტურის განვითარების მაჩვენებელია მრავალი სკოლა, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი-ინსტიტუტი, სკოლამდელი დაწესებულებები, მუსიკალური სკოლა, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ნაშრომს ერთვის განათლებისა და კულტურის მდგომარეობის ამსახველი შესაბამისი ფოტომასალებიც.</td></tr>
<tr><td>43</td><td>ნაილა ჩელებაძე</td><td>მართლმადიდებლური საეკლესიო ცხოვრების ზოგი-ერთი საკითხი ბათუმის ოლქში XIX საუკუნის და-სასრულს (საარ-ქივო მასალების მიხედვით)<br><br>ISSN 1987 – 5916</td><td>„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>544–551</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>სტატიაში შესწავლილია XIX საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს ეკლესიაში არსებული ვითარება, რომელსაც მართავდა რუსეთის მიერ დანიშნული ეგზარქოსი. ამ პერიოდში ბათუმი და მისი შემოგარენი შედიოდა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, სადაც ეთნიკურად ჭრელი და, შესაბამისად, მრავალგვარი კონფესიური გაერთიანების ზრდის ტემპი თვალსაჩინო იყო.<br>XIX საუკუნის 70-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების საფუძველზე, ბათუმს 1888 წელს მიენიჭა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი, რის შედეგადაც ქალაქში თანდათან დაიწყო აღმშენებლობითი ღონისძიებების გატარება. საარქივო მასალების მიხედვით ჩანს, რომ ამ პერიოდში დაიწყო მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობა, რომელთა ნაწილი დასრულდა მომდევნო საუკუნეში. ამასთან, ბერძნული და რუსული სამლოცველოების პარალელურად საფუძველი ჩაეყარა ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარს. ნაშრომში მოკვლეულია სასულიერო პირთა შესახებ ინფორმაციები. მღვდელმსახურთა შორის მოწმდება არაერთი ქართველი სასულიერო პირის გვარიც.</td></tr>
<tr><td>44</td><td>ნაილა ჩელებაძე</td><td>ივანე მესხი ბათუმში სახალხო განათლების მდგო-მარეობის შესახებ (საიუბილეო კრებულში - „ბათუმი და მისი შე-მოგარენი“ გამოქვეყ-ნებული ნარკვევის მიხედვით)<br><br>ISSN 1987 – 8745</td><td>„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშო-რისო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასალები), IX,</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>262–272</td></tr>
</table>

ანოტაცია

ნაშრომში მოცემულია ქალაქ ბათუმის დაარსების მოკლე ისტორია, ბათუმის საქალაქო ცხოვრების კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში მომხდარი ის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რასაც ადგილი ჰქონდა აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ. აღნიშნული ღონისძიებების დეტალური ნუსხაა მოცემული ბათუმის რუსეთის იმპერიასთან შეერთების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში - „ბათუმი და მისი შემოგარენი,“ რომელშიც ქალაქის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოამაგემ - ივანე მესხმა ერთგვარად ვრცელი და დეტალური ანგარიში წარმოადგინა სახალხო განათლების სფეროში საქმიანობის შესახებ. სხვადასხვა წყაროსთან შედარების საფუძველზე კიდევ უფრო მეტ სანდოობას იძენს ავტორისეული მასალები ბათუმის ყოფა-ცხოვრების ცალკეული მიმართულების შესახებ. ჩანს, რომ ივ. მესხი არა მარტო თვითმხილველია ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური

თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებისა, არამედ მის ხელთაა საქალაქო ცხოვრების ამსახველი უმდიდრესი მასალები, ყოველწლიური თუ ყოველდღიური სახელისუფლო დოკუმენტური მასალები, რომლებიც დღესაც მეტად საყურადღებო, სტატისტიკური მონაცემებით მდიდარ ინფორმაციას წარმოადგენს არა მარტო მკვლევართათვის, არამედ ბათუმის წარსული ცხოვრების ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისთვისაც.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 45 | ნაილა ჩელებაძე | ზომა-წონის ერთეულები აჭარის მემინდვრეობაში (1958 წლის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით)<br><br>ISSN 1987-5274 | სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, VI | ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | იბეჭდება |

ანოტაცია

ნაშრომში ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 1958 წ. პირველი სამეცნიერო ექსპედიციის ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე შესწავლილია მემინდვრეობასთან დაკავშირებული ზომა-წონის ერთეულები ღორჯომის, დიდაჭარის, ხიხაძირის, ჭვანის ხეობისა და ქედის რაიონის სოფელ მერისის მაგალითზე. ამ მასალებით რეგიონებში კარგად ჩანს მეურნეობის უძველესი ტრადიციულობის კვალი, რაზეც მეტყველებს ნიადაგის ხარისხის, მემინდვრეობის თანმიმდევრული პროცესების მიხედვით სამიწათმოქმედო კულტურის ცალკეული ელემენტების ცოდნა, შრომის იარაღების მრავალფეროვნება, შრომის ორგანიზაციის, მოსავლის აღება-დაბინავებისა და რეალიზაციის ფორმათა მრავალგვარობა. არსებული მასალების მიხედვით ყოფაში დამოწმდა სახნავ-სათესი ნაკვეთების ტრადიციული ქართული სახელწოდებები: ნაბიჯი, მტკაველი, კვალი, ყანა-ოცეული, ჩეთვერი, სამზიარი და სხვ. მასალებიდან გამოიკვეთა მარცვლეულის წონის არაერთი ერთეული: პინა, კოდი, ოყა, ფუთი, მარხილი, კალო, სელი, გუდა, კიდობანი, ქილეკა, თაკარა, ნალია, ბეღელი და სხვა მრავალი. ამ მასალების მნიშვნელობა დიდია ქართულ ზომა-წონის ერთეულთა სისტემის შესწავლაში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 46 | ნუგზარ ჩხაიძე | ქ.ბათუმში მცირე ბიზნესის სოციალურ-ეკონომიური პრობლემები<br>ISSN 1987-5274 | სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, VI | ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | იბეჭდება |

<table>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში ბათუმელ მცირე მეწარმეთა სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე შესწავლილია ის პრობლემები, რომლებიც აფერხებენ მცირე ბიზნესის განვითარებას ქ.ბათუმში. საკითხის კომპლექსურად შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, ის ფინანსური სახსრები, რითაც დაიწყეს ბიზნესსაქმიანობა ბათუმელმა მცირე მეწარმეებმა, დადგინდა დასაქმებულთა და გადასახადების რაოდენობა, ის საშუალებები, რაც ხელს უწყობს ბიზნესის შენარჩუნებას და განვითარებას, ნაჩვენებია, თუ რა გავლენას ახდენს უცხოელ ბიზნესმენთა კონკურენცია მათ საქმიანობაზე, როგორი ბიზნეს-გარემოა შექმნილი მცირე მეწარმეებისთვის, როგორ ესახებათ ადგილობრივ მეწარმეებს თავიანთი ბიზნესის მომავალი, როგორ აფასებენ ისინი საქართველოს ხელისუფლებისა და ქ.ბათუმის მერიის დამოკიდებულებას მათი საქმიანობისადმი, როგორია მათი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა. დასახელებულია ის ქვეყნები, რომლებთანაც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, მათი აზრით, ხელს შეუწყობდა ქ.ბათუმში მცირე ბიზნესის განვითარებას.<br>რესპოდენტთა პასუხების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ის ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ მცირე ბიზნესის განვითარებას ქ. ბათუმში. გაირკვა, რომ ამ ფაქტორთა შორის უმთავრესია საფინანსო რესურსებზე (უპირველესად, საბანკო კრედიტებზე) ხელმისაწვდომობა და მისი დეფიციტი, რაც, გამოკითხულთა თვალსაზრისით, ეკონომიკის ამ სეგმენტის ფუნქციონირების უპირველესი მუხრუჭია და მისი გადაჭრის გარეშე, რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით, მცირე მეწარმეობის განვითარების პერსპექტივა ქ.ბათუმში ძალიან შეზღუდულია.</td></tr>
<tr><td>47</td><td>კონსტანტინე ღლონტი</td><td>აზროვნების სოციოლოგიის ზოგიერთი საკითხი<br>ISSN 1987-5274</td><td>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, VI</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში დახასიათებულია ახალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის წარმოშობა-განვითარების ასპექტები, რაც დაკავშირებულია ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის კიტა მეგრელიძის სახელთან და პრობლემები, რომელიც მან შეიმუშავა კომპლექსურ-სისტემური მიდგომის საფუძველზე და შემოქმედებითად გამოიყენა ახალ პირობებში, დასვა საკითხი მეცნიერებაში ინტეგრაციის აუცილებლობის შესახებ.<br>ნაშრომში განხილულია შემეცნების ბუნება საზოგადოებრივ მოვლენებთან კავშირში, ხაზგასმულია, რომ აზროვნების სოციოლოგიური ბუნება შერწყმულია ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობასთან, რაც თავის მხრივ, მთლიანად წარმოაჩენს მკვლევარის მრავალმხრივი საქმიანობის გასაღებს.</td></tr>
<tr><td>48</td><td>კონსტანტინე ღლონტი</td><td>მცირე ბიზნესის განვითარების ზოგიერთი ასპექტი საქართველოსა და აჭარაში<br>ISSN 1987-5274</td><td>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, VI</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>სტატიაში შესწავლილია, რომ მეურნეობის საქმიანობის ფორმებს შორის მცირე ბიზნესი საქართველოსა და აჭარაში ყველაზე მეტადაა აღიარებული, რაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია და ხელს უწყობს დარგთა შორის კონკურენტუნარიანობას, გარანტირებული სამომხმარებლო ბაზრის შექმნასა და მუშახელით დასაქმების უზრუნველყოფას. ამავე დროს, სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, ნაჩვენებია ის არასახარბიელო მდგომარეობა, რაც საქართველოსა და აჭარაში, კერძოდ, ქალაქ ბათუმშია შექმნილი მცირე ბიზნესის განვითარებაში და მითითებულია ის რეალური შემაფერხებელი მიზეზები და შესაძლებლობები, რაც არსებობს თანამედროვე ეტაპზე მცირე ბიზნესის განვითარებაში.</td></tr>
<tr><td>49</td><td>შუშანა ფუტკარაძე</td><td>ბათუმის სახე ნური</td><td>„ბათუმი – წარსული და</td><td>ბათუმი,</td><td>250-257</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | -ეფენდი თავდგირიძის პოეზიაში,<br>ISSN 1967-8785 | თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), IX, | გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, | |

ანოტაცია

მუჰაჯირი ქართველი ნური ეფენდი თავდგირიძე(1885-1969 წ.წ.) დაჯილდოებული იყო პოეტური ნიჭით. მან წარჩინებით დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ოსმალური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. ახალგაზრდობიდანვე წერდა ლექსებსა და დღიურებს, რომელთა დიდი ნაწილი ხანძრის შედეგად დაიკარგა; ნაწილი კი, საქართველოში გამოგზავნილი, შენახული იყო მისი ქალიშვილის - ზულფიე თავდგირიძის ოჯახში, რომელიც, ავტორმა, მისმა შვილთაშვილმა, მონახა და გამოსაცემად მოამზადა.

ლექსები გამოირჩევა პატრიოტული სულისკვეთებით. განსაკუთრებით მიმზიდველია ბათუმის თემაზე დაწერილი პოეტური სტრიქონები, რომლებშიც გაცოცხლებულია ქალაქ ბათუმის სილამაზე და ამ ლამაზი ქალაქის იძულებით დატოვების გამო, გამოწვეული სევდა და მწუხარება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 50 | შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე | ქობულეთელ მუჰაჯირ ქართველთა მეტყველების (ქობულეთური კილოკავის) თავისებურებანი,<br>ISSN 1512-4991 | ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XIV. | ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 48<br>იბეჭდება |

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია ქობულეთელი მუჰაჯირი ქართველების მეტყველების თავისებურებათა შესახებ. წარმოჩენილია აჭარული დიალექტის ქობულეთური კილოკავისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები.

ნაშრომში ყურადღება ზოგიერთ მორფოლოგიურ-სინტაქსურ თავისებურებაზეა გამახვილებული. საინტერესო ლინგვისტური სურათია ნაჩვენები ზმნური ფორმების ნაირსახეობით. საუბარია ზმნისწინთა მონაცვლეობის, ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის, დრო-კილოთა წარმოების, თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევებზე. წარმოჩენილია სიტყვაწარმოებაში გამოვლენილი თავისებურებანი. განხილულია მსაზღვრელ -საზღვრულის შეთანხმების, ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობისა და სხვა ანალოგიური საკითხები.

ჩვენებურების ქართულში ცხადად ჩანს დედასამშობლოდან უცხოეთში წაღებული მშობ-ლიური ენისთვის დამახასიათებელი კუთხური კოლორიტი. მათ მეტყველებაში იკვეთება აჭარული კილოს ქობულეთური კილოკავის შესაბამისი ენობრივი მოვლენები. მუჰაჯირი ქართველების მეტყველება ამიტომაც არის ძალიან საინტერესო ენობრივი ქსოვილი, რომელიც თავისი არსებით ცოცხლად წარმოგვიდგენს 120-150 წლის წინანდელ, ამ ენის მატარებელი ქართველების საცხოვრებელი ადგილების მკვიდრთა ენობრივ სურათს; მათ უმნიშვნელო განსხვავებასაც კი გვაგრძნობინებს კუთხური მეტყველების თვალსაზრისით. ამიტომ ლინგვისტური კვლევის საწარმოებლად მეტად ფასეულია ჩვენებურების (მუჰაჯირი ქართველების) ქართულის შესწავლა, მათ მეტყველებაზე დაკვირვება და ზოგადენათმეცნიერული დასკვნების გამოტანა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 51 | მერაბ ახვლედიანი, შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე | ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი კერა ანატოლიაში (თურქეთი) -ულუმბო. ზეკეპე ბერთელი და საბა კუტი,<br>ISSN 1987- 5916. | „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X | ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | 96-105 |

ანოტაცია

<table>
<tr><td colspan="6">ჩვენი  სახელოვანი წინაპრები უხსოვარი დროიდან მოყოლებული ისწრაფოდნენ ქართველი ერის კულტურისა და განათლების მიღწევების ქვეყნის გარეთ გასატანად; ცდილობდნენ სამყაროს მოწინავე ხალხებისათვის გაეცნოთ ჩვენი ერის მონაპოვარი, შორს გაეთქვათ საქართველოს სახელი. ამ მიზნით განათლებული ქართველები სახლდებოდნენ მსოფლიო ცივილიზაციის ოიზისებში და აფუძნებდნენ ქართული კულტურის კერებს. მათ შორის გამორჩეულია ულუმბოს მთაზე შექმნილი ქართული კულტურის უძველესი კერა, რომელიც დააფუძნა ილარიონ ქართველმა. შემდეგ აქ მოღვაწეობდნენ იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი. სტატიაში საუბარია მე-10 საუკუნეში აქ მოღვაწე სასულიერო პირების- ზეკეპე ბერთელისა და საბა კუტის სამწერლობო საქმიანობაზე.</td></tr>
<tr><td>52</td><td>შუშანა ფუტკარაძე</td><td>იოანე შავთელი-შავშეთის სახელო-ვანი სასულიერო მოღვაწე და მგოსა-ნი,<br>ISSN 2449-2507.</td><td>საქართველოს ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპ. რეგიონული სამეცნიერო ცენტრის შრომები, I.</td><td>ბათუმი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა.</td><td>198-206</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ისტორიულმა ზემო ქართლმა-მესხეთმა დედასამშობლოს ბევრი სახელოვანი შვილი აღუზარდა. მათ შორისაა იოანე შავთელი, ძველი ქართული სახოტბო პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ამ სახელოვანი პიროვნების შესახებ ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებით ვიცით მხოლოდ, რომ იგი იყო თამარ მეფის თანამედროვე, სამეფო კარის პოეტი, საზოგადოების მოწინავე წრეებთან  დაახლოებული პიროვნება.<br>იოანე შავთელის სადაურობის შესახებ სამეცნიერო ნაშრომებში მსჯელობდნენ ცნობილი მეცნიერები: კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ალ. ბარამიძე, ი.ლოლაშვილი, ელ. მეტრეველი...თუმცა  მისი სადაურობა დღემდე ზუსტად ცნობილი არ იყო.  სტატიაში განხილული ისტორიული წყაროებისა  და სამეცნიერო ექსპედიციების მასალების მიხედვით, დადასტურდა, რომ  იოანე შავთელი არის შავშეთის ულამაზესი სოფლის-შავთას შვილი. სწორედ სოფლის სახელს ეფუძნება მისი ფსევდონიმი-„შავთელი“. „ტბეთის სულთა მატიანეს“ მიხედვით იგი არის გვარად ქუაბულისძე.</td></tr>
<tr><td>53</td><td>ელზა ფუტკარაძე</td><td>ზმნურ ფორმათა წარმოების ზოგი-ერთი თავისებურე-ბა ამიერტაოს მეტ-ყველებაში.<br><br>ISSN კოდი მიენიჭება</td><td>განათლება და მეცნიერება XXI საუკუნეში: რეალობა, გამოწვევები, პერსპექტივები,</td><td>გორი, გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში საუბარია ზმნურ ფორმათა წარმოების თავისებურებათა შესახებ ამიერტაოს მეტყველებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამიერტაოს მეტყველება მოწყვეტილია თავის მასაზრდოებელ წყაროს-ქართულ სალიტერატურო ენას,  მაინც შეინარჩუნა ქართულმა ენამ იქ თავისთავადობა. იქაურთა მეტყველება წარმოადგენს ერთგვარ დაკონსერვებულ ქართულს. მასში შემორჩენილია არქაული გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმები, ჩანს სხვა ენათაგან ნასესხობები, გამორჩეულია საკუთრივ დიალექტიზმებით, თავისებურია სიტყვაწარმოება. შესაბამისად, მრავალმხრივ საინტერესო და სახასიათოა ამიერტაოს ქართული.<br>ამიერტაოს მეტყველება სხვადასხვა ენობრივი კუთხით საინტერესოა. მათ მეტყველებაში ჩანს არაერთი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკური თავისებურება. ნაშრომში ზმნურ ფორმათა წარმოების ზოგიერთ საკითხზე იქნება საუბარი. კერძოდ, განვიხილავთ თემის ნიშანთა მონაცვლეობისა და მწკრივის ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ თავისებურებას. ფორმათა ანალიზისას ძირითადად ვეყრდნობით საექსპედიციო მუშაობისას ჩვენ მიერ ჩაწერილ</td></tr>
</table>

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტექსტებს. | | | | | |
| 54 | შუშანა ფუტკარაძე, **ელზა ფუტკარაძე** | ქობულეთელ მუჰაჯირ ქართველთა მეტყველების (ქობულეთური კილოკავის) თავისებურებანი, ISSN 1512-4991 | ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XIV. | ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" | იბეჭდება |
| ანოტაცია<br><br>ნაშრომში საუბარია ქობულეთელი მუჰაჯირი ქართველების მეტყველების თავისებურებათა შესახებ. წარმოჩენილია აჭარული დიალექტის ქობულეთური კილოკავისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები.<br>მუჰაჯირი ქართველების ენამ, რომელიც მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაშორდა დედასამშობლოს, დღემდე შეინარჩუნა თავისთავადობა, დამოუკიდებლობა; თითქმის უცვლელი დარჩა მისი გრამატიკული წყობა, ფონეტიკური სისტემა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.<br>ნაშრომში ყურადღება ზოგიერთ მორფოლოგიურ-სინტაქსურ თავისებურებაზეა გამახვილებული. საინტერესო ლინგვისტური სურათია ნაჩვენები ზმნური ფორმების ნაირსახეობით. საუბარია ზმნისწინთა მონაცვლეობის, ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის, დრო-კილოთა წარმოების, თემის ნიშანთა მონაცვლეობის შემთხვევებზე. წარმოჩენილია სიტყვაწარმოებაში გამოვლენილი თავისებურებანი. განხილულია მსაზღვრელ -საზღვრულის შეთანხმების, ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობისა და სხვა ანალოგიური საკითხები.<br>ჩვენებურების ქართულში ცხადად ჩანს დედასამშობლოდან უცხოეთში წაღებული მშობ-ლიური ენისთვის დამახასიათებელი კუთხური კოლორიტი. მათ მეტყველებაში იკვეთება აჭარული კილოს ქობულეთური კილოკავის შესაბამისი ენობრივი მოვლენები. მუჰაჯირი ქართველების მეტყველება ამიტომაც არის ძალიან საინტერესო ენობრივი ქსოვილი, რომელიც თავისი არსებით ცოცხლად წარმოგვიდგენს 120-150 წლის წინანდელ, ამ ენის მატარებელი ქართველების საცხოვრებელი ადგილების მკვიდრთა ენობრივ სურათს; მათ უმნიშვნელო განსხვავებასაც კი გვაგრძნობინებს კუთხური მეტყველების თვალსაზრისით. ამიტომ ლინგვისტური კვლევის საწარმოებლად მეტად ფასეულია ჩვენებურების (მუჰაჯირი ქართველების) ქართულის შესწავლა, მათ მეტყველებაზე დაკვირვება და ზოგადენათმეცნიერული დასკვნების გამოტანა. | | | | | |
| 55 | ელზა ფუტკარაძე, ნაილე მიქელაძე | გაღმა დარჩენილთა სულიერი განცდები შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულის მიხედვით", ISSN 1987- 5916 | „ჩვენი სულიერების ბალავარი" (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X | ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" | 495-502 |
| ანოტაცია<br>ნაშრომში საუბარია მუჰაჯირელთა სულიერ განცდა-მდგომარეობაზე, მათ პოეტურ სულისკვეთებაზე. მშობლიურ მიწა-წყალს მოშორება, უცხო ცის ქვეშ ყოფნა ურთულესი ტრაგიზმია ადამიანისათვის. მშობლიურ კარ-მიდამოზე, ახლობლებზე, ნათესავებზე მოშორება უდიდეს ტკივილს, წუხილს ჰბადებს მუჰაჯირებში. სულის მოსაოხებლად, სულის შინაგანი გრძნობა-ემოციის შესამსუბუქებლად ნაფიქრ-ნააზრევი მუჰაჯირებს ლექსის ჰწკარედებისათვის გაუნდვიათ. სწორედ ასეთი სულის მოსაოხებელი ტკივილიანი ამოძახილი ისმის მუჰაჯირელთა პოეტურ ჰწკარედებსა თუ ლექს-სიმღერებში. ფაქტიურად, მათი პოეტური მემკვიდრეობა არის ერთგვარი მოთქმა, ტკივილიანი ამოძახილი სამშობლოს, მშობლიური მიწა-წყლის ნატრული კაცისა. მუჰაჯირებს ზოგჯერ ამ ტკივილისათვის სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვაც მიუცემიათ. ნაშრომში სწორედ აღნიშნულ საკითხზეა საუბარი. | | | | | |

<table>
<tr><td>56</td><td>ნაილე მიქელაძე, ციალა ნარაკიძე.</td><td>რამდენიმე ლეგენდა ქრისტიანობისათვის წამებულთა შესახებ ზემო აჭარასა და ლაზეთში<br>ISSN 1987 -5916</td><td>„ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სა-ხელმწიფო უნი-ვერსიტეტი“</td><td>გვ. 371-375.</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>მოცემული ნაშრომის მთავარი თემაა, წამებულთა სახეების გახსენებაა, რომელთაც სამშობლოსათვის გასწირეს თავი. ისტორიულად, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ლაზეთში არსებობა უმძიმესს პირობებში უხდებოდა ბრძოლა. ოსმალთა შემოსევის შედეგად ნადგურდებოდა მოსახლეობა, გამოუსწორებელი ზიანი ადგებოდა მთელ კუთხეს, საშველი კი არსაიდან ჩანდა. მე-17 საუკუნეში ლაზეთში შემოიჭრა და ყველა ზღვისპირა პუნქტის დაკავება შეძლო. ბევრი მამაცი ლაზი ამ უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, ნაწილი კი ტყვედ წაასხა მტერმა. ტყვეებს მტერმა ქრისტიანობის უარყოფის სანაცვლოდ თავისუფლება და სხვა მიწიერი პატივის მიგება აღუთქვა. ბრძოლაში სიმამაცით განთქმულმა ლაზებმა უდიდესი სარწმუნოებრივი სიმტკიცე გამოიჩინეს. მომხვდურებმა ყველა მეომარს მოკვეთეს თავი და მდინარეში გადაყარეს, რის შედეგადაც ამ ადგილს ,,დუდიკვეთა“ (თავისკვეთა) უწოდეს. ,,დუდიკვეთა“ ეწოდა მოწამეთა სისხლით შეღებილ მდინარესაც.<br>ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელთა ეტიმოლოგიის კვლევას, ხშირად ისტორიულ სინამდვილემდე მივყავართ, რაც ამ თემის მთავარი საკვლევი ობიექტი იყო.</td></tr>
<tr><td>57</td><td>ნაილე მიქელაძე</td><td>ბათუმის ზოგი-ერთი გეოგრაფი-ული სახელის ეტი-მოლოგიისათვის.<br><br>ISSN 1967-8785</td><td>„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშო-რისო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასალები), IX,</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სა-ხელმწიფო უნი-ვერსიტეტი“</td><td>გვ.195–201</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია ბათუმის შემონახულ ზოგიერთ ტოპონიმზე, რომელთაც ისტორიულმა ბედუკუღმართობამ სახელი შეუცვალა. ბათუმი ოდითგანვე საქართველოს მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, აჭარის ისტორიით საუკუნეების განმავლობაში ინტერესდებოდნენ მსოფლიოში ცნობილი მოგზაურები, მკვლევრები და აშ. მათი ინტერესი ბათუმი და მისი შემოგარენი იყო. დღესაც არსებობს გეოგრაფიული სახელები, რომელთა ეტიმოლოგია საკამათო ან ამოუცნობია. მაგ. ,,დედაბერა“, ნური გელის ტბა“, ,,სოუქ სუ“ და სხვა.<br>წარმოდგენილი კვლევა, სწორედაც ბათუმის იმ გეოგრაფიულ სახელის ეტიმოლოგიას უკავშირდება, რომლებიც ამ ქალაქის ისტორიის მნიშვნელოვან და ღირებულ ნაწილს წარმოადგენს.</td></tr>
<tr><td>58</td><td>ნაილე მიქელაძე</td><td>წმიდა მარიამ ღვთისმშობლის ხალხური საგალო-ბლის შესახებ (სტამ-ბულის ქართული სავანის მასალების მიხედვით)<br>ISSN 978-9941-26-383-5</td><td>სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), VIII</td><td>ბათუმი, გამომცემლობა“ უნივერსალი“</td><td>გვ.464-477</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია სტამბულის ქართულ კათოლიკეთა სავანეში დაცულ ხელნაწერზე, კერძოდ, ,, წმიდა მარიამ ღვთისმშობლის ხალხური საგალობელი“, რომელიც მესხეთში ჩაუწერიათ და ამჟამად სტამბულის ქართველ სავანეშია შემონახული. ფოლკლორული მარგალიტის</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6">ქების ობიექტი მარიამ ღვთისმშობელია. წარმოდგენილი საგალობელი ხალხს მძელბედობის ჟამს შეუქმნია და ის მათ სულიერ სიმტკიცეს სძენდა. ერთობ მნიშვნელოვანი ყოფილა მისი როლი საზოგადოების ცნობიერებაში, რაც კარგად გამოიკვეთა ლექსის შინაარსში.<br>ისტორიულად, საქართველო ოდითგანვე იწოდებოდა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად. ამ ქვეყანაში არაერთი ღვთის სადიდებელი შეუქმნიათ როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებს. მათ შორისაა ხალხური სიტყვიერება, რომელიც ეხმიანება ზოგადქართულ ლიტერატურულ და სასულიერო ჟანრებს.<br>ზემოთ აღნიშნული საგალობელი რამდენადაც მნიშვნელოვანია, იმდენად საინტერესო და ღირებულია ქართველთათვის, რამეთუ ის ერის სულიერი საგანძურს წარმოადგენს.</td></tr>
<tr><td>59</td><td>ნაილე მიქელაძე</td><td>ერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათ-ვის</td><td>„განათლება და მეცნიერება XXI საუკუნეში: რეალობა, გამოწვევები, პერსპექტივები“</td><td>გორი, გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>მოცემულ ნაშრომში საუბარია, ზემო აჭარის ერთ-ერთ სოფლის ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე, რომელიც შინაარსით ყურძნის ჯიშის სახელწოდებას ,,მანჩხაურს“ უკავშირდება. გეოგრაფიულ სახელებში ხშირად ასახულია ტოპონიმის ეტიმოლოგია. ზოგჯერ მისი ისტორია სისხლორცეულად უკავშირდება, ერის, კუთხის ისტორიის მოვლენასა თუ ფაქტს.<br>ამ კუთხის ტოპონიმიაში დღესაც ვხდებით მცენარის სახელისაგან მომდინარე ტოპონიმებს, რომელთა გენეზისს თან ერთვის გადმოცემაც. მათ შორის, ერთ–ერთ ასეთი უბნის სახელწოდებას ,,მანჩხაური“ წარმოადგენს. უბნის სახელდება ერთ–ერთი ყურძნის ჯიშის ,,ჩხავერთან“ დაკავშირებულ ისტორიას უკავშირდება.<br>ამრიგად, ჩვენი თემის საკვლევი საკითხიც, სწორედ ტოპონიმები და მასთან დაკავშირებული ისტორებია. რამეთუ აჭარაში ტოპონიმთა უმეტესი ნაწილი დღესაც შეუსწავლელია.</td></tr>
<tr><td>60</td><td>ნაილე მიქელაძე</td><td>სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმის შესწავლისათვის.</td><td>რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XXXVIII</td><td>თბილისი</td><td>გვ.48-49</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია, სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმებზე. მათი კვლევა მნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, რელიგიისა და ენის ისტორიის შესწავლისათვის.<br>ტოპონიმიკა, როგორც ლექსიკოლოგიის დარგი, გეოგრაფიულ სახელებს გეოგრაფიული, ისტორიული და ლინგვისტური ასპექტით იკვლევს. ტოპონიმური გადმოცემების დანიშნულება კი ისაა, ახსნას რატომ წარმოიშვა ამა თუ იმ ადგილის სახელწოდება. ხშირად ტოპონიმურ თქმულებათა შექმნას საფუძვლად ედებოდა რეალური ფაქტები. ამ მხრივ ყურადსაღებია შემდეგი ტოპონიმები: ნინოწმინდა, ფარავნის ტბა, გოგჩა და სხვა.<br>ამრიგად, რელიგიურ-ისტორიული თქმულება-გადმოცემების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფოლკლორული წყაროს ყოველი ახალი მიგნება-აღნუსხვა და მისი მეცნიერული ანალიზი ამ კუთხის ისტორიის უკეთ შესწავლაში დაგვეხმარება. ამ ნაშრომის მიზანიც სწორედ ესაა.</td></tr>
<tr><td>61</td><td>ნაილე მიქელაძე</td><td>შვლის კულტთან დაკავსირებული თქმულებები აჭარის ფოლკლორში.</td><td>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტა-რული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-III“</td><td>ბათუმი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია</td></tr>
</table>

წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია ცხოველთა კულტის, ტოტემიზმის საკითხებთან, კერძოდ კი შვლის კულტთან დაკავშირებულ გადმოცემებთან. ქართული ხალხური სიტყვიერი მასალების მიხედვით, ცნობილია, რომ წინაპრების შეგნებაში ტოტემისტური რწმენა ბატონობდა. ისინი ზოგიერთ ცხოველს ღვთიურ არსებად მიიჩნევდნენ. აჭარის ფოლკლორში სხვა კულტთაგან განსხვავებით, შვლის კულტია წამოწეული. აქაურთა რწმენა - წარმოდგენით, შველი უფლის რჩეულია, მისი მოკვლის გამო შეიძლება მთელი სოფელი ან ხეობა დაისაჯოს. ასევე შესაძლებელია, მასზე ნადირობამ მცირე წარღვნაც კი გამოიწვიოს.

წარმოდგენილ თემაში, თქმულებები ზოგად ქართული სიტყვიერი მასალების შედარება - ანალიზით იქნა განხილული. არსებულ თემატიკაში ქრისტიანულ რელიგიასთან ერთად თავს იჩენს მუსლიმანურ – წარმართული ელემენტებიც. თქმულებებში ვხვდებით როგორც ანიმისტურ, ასევე ზოომორფულ რწმენა-წარმოდგენებს.

საკვლევი მასალების საფუძველზე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ შველი აქაურთა რწმენაში „ღვთის ცხოველად" ითვლება. ის მთელ რიგ ფუნქციებს ასრულებდა, რამაც ასახვა ჰპოვა აჭარის ფოლკლორში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 62 | ნაილე მიქელაძე | ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული დახასიათება | ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XIV | ბათუმი, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | იბეჭდება (25გვ.) |

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული მასალების ზოგადი მიმოხილვა. კერძოდ, ამ რაიონში შემონახული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების, თქმულება-გადმოცემების, ზღაპრების, შელოცვების, ანდაზებისა და სხვათა შესახებ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი ფოლკლორული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ამ რაიონში შედის რამდენიმე სოფელი, რომელიც საინტერესოა თემატიკის მრავალფეროვნებით. შესაბამისად, მისი ფოლკლორი ერთობ საინტერესო და მნიშვნელოვანია ზოგად ქართული თვალსაზრისით.

ქობულეთის ზეპირსიტყვიერება საინტერესოა, ქართული ფოლკლორის მარგალიტების თვალსაზრისითაც. ამ კუთხეში დღესაც ახსოვთ ცნობილი ლექსები: ,,ლექსი მუხაჯირობაზე“, ,,ქობლეთლებიც ასე ჩივა, ,,დაგველების მუჰაჯირად წასვლა“ , ,,ალი-ფაშამ გვიღალატა“ ზღაპრები, გადმოცემები და სხვა.

წარმოდგენილ თემაში, სწორედ ხალხური სიტყვიერების იმ ნიმუშებზეა ყურადღება გამახვილებული, რომელთაც მოსახლეობა დღესაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ინარჩუნებს.

ამრიგად, ისტორიულად ქობულეთი ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი, რომელიც გამორჩეულია თავისი კულტურითა და ისტორიული რეალობით.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 63 | ნაილე მიქელაძე, ელზა ფუტკარაძე | გაღმა დარჩენილთა სულიერი განცდები შუსანა ფუტკარაძის ,,ჩვენებურების ქართულის“ მიხედვით ISSN 1987-5916 | „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X | ბათუმი, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ | გვ. 495-502. |

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაწარმოებში საუბარია, ჩვენებურთა ცნობიერებაში შემონახულ ფოლკლორ მარგალიტებზე, რომელთა მთავარი სათქმელი და ტკივილი სწორედაც მათი განვლილი ცხოვრების გზაა. ტრაგიკული ეპიზოდებში მთელი სიცხადითაა წარმოდგენილი იმდროინდელი ყოფის მოვლენები. კერძოდ: მუჰაჯირთა განცდები, მათი სულიერი და მორალური მდგომარეობა. და ბოლოს, მოტყუებულთა სულის ტკივილი, რომელიც საუკუნეების მიუხედავად, არც ჩვენებურთა (თურქეთში

<table>
<tr><td colspan="6">მცხოვრებ ქართველების) და არც აქაურთა ცნობიერებაში არ წაშლილა, პირიქით უფრო და უფრო ტკივილიან მოგონებად რჩება.<br>ამრიგად, მთავარი მაინც ერის სულიერებაა, რომელიც ასე კარგად ჩანს პროფესორ შუშანა ფუტკარაძის ,,ჩვენებურების ქართულში“. ამიტომაც კვლევის ობიექტი, სწორედაც ეს საგანძურია, რომელმაც ასე კარგად დაგვიხატა მუჰაჯირთა ყოფა და სულიერი განცდები.</td></tr>
<tr><td>64</td><td>შოთა ზოიძე</td><td>ილია ჭავჭავაძე - ემიგრანტი მწერლის თვალით,<br>ISSN 2449-2057</td><td>საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის შრომები, ტ. III, 2018</td><td>ბათუმი,<br>საქ. მეცნ. აკადემიის სტამბა</td><td>გვ. 194-197</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე ემიგრანტი მწერლის თვალით“ გაანალიზებულია ცნობილი ქართველი ემიგრანტი პოეტის შალვა ამირეჯიბის სტატია ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1932 წელს, ჟურნალ „სამშობლოს“ მე-12 ნომერში. ეს სტატია და მისი ანალიზი იმითაცაა საინტერესო, რომ ავტორის შეფასებებს ილიას პოეზიის შესახებ, აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ილიას მტრები ახლაც ცდილობენ ილიას პოეზიის გაკილვას. რაც შეეხება ნაშრომს, ის მაშინ დაიბეჭდა უცხოეთში, როცა საქართველოში ილიას ხსენება იკრძალებოდა, მისი მთაწმინდიდან გადასვენებაც კი მოითხოვეს. ამიტომ მიგვაჩნია ეს ნაშრომი ილიას შემოქმედების შესახებ დაწერილ სტატიებს შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ.</td></tr>
<tr><td>65</td><td>შოთა ზოიძე</td><td>გრ. რობაქიძე - მითი და სინამდვილე<br>ISSN 2449-2507</td><td>საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის შრომები, ტ. IV, 2018</td><td>ბათუმი,<br>საქ. მეცნ. აკადემიის სტამბა</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში „გრ. რობაქიძე - მითი და სინამდვილე“ დამუშავებულია ბოლო დროს გამოქვეყნებული წყაროები ემიგრაციაში მცხოვრები მწერლის გრიგოლ რობაქიძის შესახებ, გაანალიზებულია ზოგიერთი ძველი წარმოდგენები და ახსნილია იმ გაორების მიზეზები, რაც აისახა საბჭოურ და დამოუკიდებელი საქართველოს (91 წლის შემდეგ), პრესაში. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ ნიჭიერ მწერალს მიეკუთვნოს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ღირსეული ადგილი: წერტილი უნდა დაესვას მის უკიდეგანო ლანძღვასაც და გადაჭარბებულ წარმოდგენებსაც.</td></tr>
<tr><td>66</td><td>შოთა ზოიძე</td><td>რუსი მწერლები და მოღვაწეები ბათუმში,<br>ISSN 1987-8745</td><td>„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშო-რისო სამეცნიერო კონ-ფერენციის მასალები), IX,</td><td>ბათუმი,<br>გამომც. „ბათუ-მის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“,</td><td>148–156</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია</td></tr>
<tr><td>67</td><td>ნარგიზ ახვლედიანი</td><td>ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია,<br>ISSN 1512-499</td><td>ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, ტომი XIV</td><td>ბათუმი,<br>გამომც. „ბათუ-მის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში: „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია“, განხილულია ქობულეთის მუნიციპალიტეტში შეგროვებული მარტივი, შედგენილი და რთული ლექსიკური ერთეულების (მასალის) სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td colspan="6"></td></tr>
<tr><td>68</td><td>ნარგიზ ახვლედიანი</td><td>ისტორიულ სიგელ-გუჯრებში დაცული ერთი ცნობის კვლევისათვის<br>ISBN 978-9941-25-469-7</td><td>ქართველური ონომასტიკა, ტომი IX</td><td>თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“</td><td>86–89</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>ნაშრომში: „ისტორიულ სიგელ-გუჯრებში დაცული ერთი ცნობის კვლევისათვის“ – განხილულია ისტორიულ წყაროში, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“, დაფიქსირებული ერთი ეპიზოდის, კერძოდ, ოკრიბის საერისთავოში დაცული ერთი ცნობა „ქვაბულიძეთა“ შესახებ და ნიკო ბერძენიშვილის საინტერესო დაკვირვება ამ საკითხებთან დაკავშირებით. სტატიაში მოცემულია დასავლეთ საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კვლევა და პირველწყაროზე დაყრდნობით მითითებული ადგილის გეოგრაფიული სახელწოდების ლინგვისტური ანალიზი.</td></tr>
<tr><td>69</td><td>ნარგიზ ახვლედიანი</td><td>რამდენიმე ტოპონიმის განმარტებისათვის ხელვაჩურის მუნიციპალიტეტში.<br>ISBN 978-9941-25-469-7</td><td>ქართველური ონომასტიკა, ტომი X</td><td>თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br>ნაშრომში: “რამდენიმე ტოპონიმის განმარტებისათვის ხელვაჩურის მუნიციპალიტეტში“ –წარმოდგენილია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში დადასტურებული ტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი (კვადაური, ნაჯარგვალევი, ოროკი და სხვ.) .</td></tr>
<tr><td>70</td><td>ნარგიზ ახვლედიანი</td><td>კვლავ ერთი ტოპონიმის ექსტრალინგვისტური კვლევისათვის ბათუმის შემოგარენში.<br>ISSN 1987-87-45</td><td>„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), IX,</td><td>ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“,</td><td>64-70</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია<br><br>ნაშრომში; „კვლავ ერთი ტოპონიმის ექსტრალინგვისტური კვლევისათვის ბათუმის შემოგარენში“ – განხილულია ერთი გეოგრაფიული სახელის ტოპონიმ „კაპანდიბი“-ს წარმომავლობა. მოცემულია ცდა ზემოთ დასახელებული ადგილის გეოგრაფიული სახელწოდების ეტიმოლოგიის ახსნისა და დასაბუთებულია მისი სახელდების მოტივაციის მიზეზი.</td></tr>
<tr><td>71</td><td>ციალა ნარაკიძე</td><td>ზანიზმები ქობულეთურ მეტყველებაში<br>ISSN 1512-4991</td><td>ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, XIV</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია</td></tr>
</table>

ზანური ენა ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ენის დასავლური კილოების წარმოქმნა-ფორმირებაში.

ქართული ენის აჭარულ დიალექტსა და მის ქობულეთურ კილოკავში დღესაც დასტურდება ზანური წარმომავლობის ტერმინები.

ზანურის ენობრივ მასალებს ქობულეთურ კილოკავში ვხვდებით არა მარტო იმ ფორმით, რა ფორმითაც მათ ზანურში გააჩნიათ, არამედ შეჯვარებული სახითაც. მაგალითად მეგრულ-ლაზურში ჯა რომელიც ხეს ნიშნავს აჭარულსა და მის ქობულეთურ კილოკავში გვხვდება სიტყვების შემადგენელ ელემენტად, რომელთაც სემანტიკური კავშირი აქვთ ხესთან ქ ვ ი ჯ ა (ქუა-ჯა-ხე); ჯ ა რ გ ვ ა ლ ი-მრგვალი ხეებისგან აშენებული სახლი (ჯა-რგვალი); ჭუტა//ჭიტა ზანურში ნიშნავს პატარას და ქობულეთურ კილოკავში პატარა კვერი; ჭ უ ნ ტ ა ლ ა // ჭ უ ტ ა ლ ა-წვიტკაკალა სიმინდი...

ნაშრომში განხილულია მხოლოდ ლექსიკური მასალა, რომელიც დღესაც დასტურდება ქობულეთელთა მეტყველებაში და ზანური წარმომავლობისად გვესახება.

ნაშრომი საინტერესო იქნება ლაზეთისა და ლაზურის შესწავლით დაინტერესებულ პირებისათვის.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 72 | ციალა ნარაკიძე, ნაილე მიქელაძე | რამდენიმე ლეგენდა ქრისტიანობისათვის წამებულთა შესახებ ISSN 1987-5916 | „ჩვენი სულიერების ბალავარი" (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X | ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" | 371-376 |

ანოტაცია

ნაშრომი საუბარია იმაზე, რომ XVII საუკუნეში ოსმალები ლაზეთში შემოიჭრნენ და ყველა ზღვისპირა პუნქტის დაკავშირება შეძლეს. ისტორიული ტკივილი, სოფლის უხუცესეს ერთხელ კიდევ შეახსენებს ტრაგიკულად დაღუპულთა ამბავს.

ლაზების სიმამაცეზე მრავალი ლეგენდა-გადმოცემა არსებობს. ლეგენდა „დუდიკვათას" მთაზე. ეს მთა ხოფის მახლობლად, სოფელ აზლაღაში მდებარეობს. ლეგენდის თანახმად, ოსმალებთან უთანასწორო ბრძოლაში ბევრი მამაცი ლაზი დაიღუპა. ბევრიც მტერმა ტყვედ ჩაიგდო. ტყვეებს მტერმა ქრისტიანობის უარყოფის სანაცვლოდ თავისუფლდება და სხვა მიწიური პატივის მიგება აღუთქვა. მაგრამ ლაზებმა უდიდესი სარწმუნოებრივი სიმტკიცე გამოიჩინეს. მომხდურებმა ყველა მეომარს მოჰკვეთეს თავი, რის შედეგადაც ამ ადგილს „დუდიკვათა" (თავისკვეთა) უწოდეს. არსებობს ამ თქმულების სხვა ვარიანტებიც, სადაც აქაც მამაც ლაზთა თავდადებაზეა საუბარი.

იმავე თემასა და მტრის აგრესიაზე მეტყველებს ზემო აჭარაში „თამარის ხიდებზე" მოწყობილი თავსაკვეთები მორწმუნეების საწამებლად და დასასჯელად.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 73 | ციალა ნარაკიძე | ზანური ანთროპონიმული დანაშრევი, ISBN 978-9941-434-78-5 | კრებული „გამონათლევი", ტ. II | ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" | იბეჭდება |

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია ლაზური (ჭანური) ონომასტიკის ისეთ კონკრეტულ საკითხებზე, როგორიცაა ზანური ანთროპონომია და მისი დანაშრევები ლაზურში.

მოცემულია XV-XVI საუკუნემდე ლაზეთის (ჭანეთის) მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებისათვის ტრადიციული ზანური გვარსახელები და ადამიანთა საკუთარი სახელები, რომლებიც ჯერ კიდევ შემონახულია ისტორიული სინამდვილის ამსახველ წერილობით წყაროებსა და ცოცხალ ყოფაში.

ნაშრომი ძირითადად ემყარება ნ. მარის, ი. ყიფშიძის და გ. კპარტოზიას ჩანაწერებს ეთნოგრაფიულ ლაზეთში. აგრეთვე მოტანილია ჩვენს მიერ მოძიებული მასალებიც.

ლაზურ შტო-გვარისა და ადამიანთა საკუთარ სახელებზე საუბრისას ბუნებრივია, იგულისხ-

<table>
<tr><td></td><td colspan="5">მეზა ზანურ სამყაროში ისტორიულად გავრცელებული და დამკვიდრებული ანთროპონიმები. სწორედ ამ სახის მასალებია ნაშრომში თავმოყრილი სათანადო შენიშვნებითა და კომენტარებით.</td></tr>
